პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 247 (10333) | სამშაბათი, 18 ოქტომბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და სოფლის მეურნეობის მინისტრი ბ-ნი კეიტ ხოლიოკი (1-ლი გვერდი).

ჩვენს დიად სამშობლოში (I-ლი გვერდი).

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად (I-ლი გვერდი).

ანბარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში. — **გ. მეფისაშვილი.** — რატომ ურიგდება პარტიიურო დამახინჯებებს სავაჭრო ქსელში (მე-2 გვერდი).

საგაზეთო თემაზე. — **ლ. ასტვაცატუროვი.** — შემოქმედებითად ვიმუშაოთ გაზეთის თვითეულ ნომერზე (მე-2 გვერდი).

ფელეტონი. — **გ. შუბიძე, კ. კაჭახიძე.** — კაცი — გამოცანა (მე-2 გვერდი).

ნ. ჯანჯღავა. — ახალ მიღწევათა დემონსტრაცია (მე-2 გვერდი).

გ. სიხარულიძე. — კვების პროდუქტების ახალი მანქანები (მე-3 გვერდი).

ს. ქოჩლაძე. — ახმეტელი მევენახეების წარმატება (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ენერგომშენებლების პასუხსაგები საქმე

გავიდა შემოდგომის პირველი ნახევარი. მოახლოვდა ზამთრის სეზონი — წლის ყველაზე პასუხსაგები პერიოდი ჩვენი ენერგეტიკული წარმოებისათვის, როდესაც მდინარეებში წყლის სიმცირის გამო ჰიდროელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის გამომუშავება საგრძნობლად მცირდება, ხოლო ელექტროენერგიის მოხმარება სახალხო მეურნეობის შეუნელებელი ზრდისა და ახალი საწარმოების ამუშავების შედეგად თანდათან იზრდება.

წელსაც ჩვენს რესპუბლიკაში შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მოსალოდნელია ელექტრობალანსის დაძაბულობა, თუ ამთავითვე არ იქნა მიღებული ყველა ზომა იმისათვის, რომ ახალი ენერგეტიკული სიმძლავრეები ავამუშაოთ მთავრობის მიერ დაწესებული ვადებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შედეგებისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის 29 ივლისის პლენუმის დადგენილებაში უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანად აღნიშნულია: საქართველოს „ენერგეტიკული სისტემის შემდგომი ყოველმხრივი განვითარება — ელექტროსადგურებისა და ქსელების მშენებლობის განხორციელება იმ ანგარიშით, რომ ენერგეტიკულ სიმძლავრეთა ზრდა წინ უსწრებდეს სახალხო მეურნეობის განვითარებას“. პლენუმმა დაავალა საქართველოს ჰიდროენერგომშენს, ამიერკავკასიის მეტალურგმშენს, ტყვარჩელის სამშენებლო სამართველოს და საქენერგოს ხელმძღვანელებს მიიღონ გადამწყვეტი ღონისძიებანი მშენებლობის პროცესში მყოფი ჰიდროელექტროსადგურებისა დათბოელექტროსადგურების დანიშნული ვადებისათვის ამუშავების უზრუნველსაყოფად.

როგორც ცნობილია, ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში რამდენიმე მძლავრი ჰიდროელექტროსადგური შენდება, მიმდინარეობს მთელი რიგი თბოელექტროსადგურების გაფართოება. ამ ახალი ენერგეტიკული ბაზების სრული სიმძლავრით ამუშავების შემდეგ არათანაფარდობა, რომელიც არსებობს ელექტროენერგიის გამომუშავებასა და მასზე მოთხოვნილებას შორის, ლიკვიდირებულ იქნება. მართალია, რესპუბლიკაში დიდად გაიზარდა ელექტროენერგიის გამომუშავება, მაგალითად, წელს ჩვენი ჰიდროელექტროსადგურები 179 პროცენტით მეტ ელექტროენერგიას მოგვცემენ, ვიდრე 1940 წელს მოგვცეს, — მაგრამ ამასთან უფრო სწრაფად ვითარდება სახალხო მეურნეობა, ფართოდ გაჩაღდა სამრეწველო და სატრანსპორტო მშენებლობა, აგრეთვე ქალაქთმშენებლობა, მოქმედ საწარმოთა რიგებში ასობით დიდი საწარმო ჩადგა და მოთხოვნილებაც ელექტროენერგიაზე კიდევ უფრო მეტად გაიზარდა.

ახლოვდება გუმათის პირველი და მეორე ჰიდროელექტროსადგურების, ტყიბულჰესის, ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის მესამე რიგისა და რუსთავის თბოელექტროსადგურის მეორე რიგის საექსპლოატაციოდ გადაცემის ის ვადები, რომლებიც მთავრობამ დაწესა.

ეს გარემოება ჩვენს ენერგეტიკოს მშენებლებს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს პარტიისა და მთავრობის, მთელი ხალხის წინაშე. სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავი საუკეთესო საჩუქარი იქნება ამ ახალი ენერგეტიკული სიმძლავრეების დადგენილ ვადებში ამუშავება, რაზეც დიდად არის დამოკიდებული შემოდგომა-ზამთრის სეზონში რესპუბლიკის ელექტრობალანსის დაძაბულობის მნიშვნელოვნად შენელების საქმე.

განვლილი 9 თვის შედეგები ცხადყოფენ, რომ ჩვენმა ენერგეტიკოსმა მშენებლებმა, განსაკუთრებით ჰიდროენერგომშენებლებმა, მიუხედავად იმისა, რომ წელს გაცილებით უფრო მაღალნაყოფიერად და ორგანიზებულად მუშაობენ, ვიდრე წინა წლებში მუშაობდნენ, მაინც ვერ აიღეს ისეთი ტემპი, რომ ასამუშავებელი სიმძლავრეების დანიშნული ვადებისათვის საექსპლოატაციოდ გადაცემა უზრუნველყოფილად მივიჩნიოთ. საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტმა, რომელსაც ვ. ჭანკოტაძე და ვ. ჩუბინიძე ხელმძღვანელობენ, მართალია განვლილ 9 თვეში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა 102 პროცენტით შეასრულა, წელს ცხრა თვეში ათვისა თითქმის იმდენივე თანხა, რამდენიც მთელი 1954 წლის განმავლობაში იყო ათვისებული, მაგრამ ამასთან ამ ტრესტში ჩამორჩნენ ისეთი სამშენებლო ობიექტები, რომელთა დროზე ამუშავებით სახალხო მეურნეობა განსაკუთრებით არის დაინტერესებული. მაგალითად, გუმათის პირველი და მეორე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლებმა 9 თვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა მხოლოდ 80 პროცენტით შეასრულეს.

გუმათის პირველი და მეორე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის უფროსს ამხ. გ. ბოლქვაძეს და მთავარ ინჟინერს ამხ. კ. დადიანს მართებთ განსაკუთრებული ყურის გამოჩენა იმისათვის, რომ შეწყობილი მუშაობით, სამუშაოთა სანიმუშო ორგანიზაციით უზრუნველყონ მთავრობის მიერ დაწესებული ვადისათვის გუმათჰესების პირველი რიგის ამუშავება. ასევე მოეთხოვებათ მუშაობის გარდაქმნა, ყველა შესაძლებლობის გამოყენება და მეტი ორგანიზებულობა მეორე ობიექტის მშენებლობის უფროსს ამხ. ა. მინაშვილს და მთავარ ინჟინერს ა. ტანასოვს.

რესპუბლიკის ენერგეტიკულ მშენებლობაში ჰიდროენერგომშენებლებს წამყვანი ადგილი უკავიათ. მათ განსაკუთრებულ პირობებსა და სირთულეში უხდებათ მუშაობა და ამიტომ მეტი დახმარებაც სჭირდებათ როგორც ტრესტისა და სამინისტროს მხრივ, ისე ადგილობრივი საბჭოთა, პარტიული, პროფკავშირული და კოოპერაციული ორგანიზაციების მხრივ. ამ დახმარებას კი ჩვენი ჰიდროენერგომშენებლები ვერ გრძნობენ, განსაკუთრებით ადგილობრივი ორგანიზაციებისაგან. აბა რა დახმარებაა ისეთი დახმარება, როგორიც ზუგდიდის რაიონის ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა აღმოუჩინეს ერთ-ერთ მშენებლობას: 20 კაცის ნაცვლად დასახმარებლად გაუგზავნეს 10 ნაჩქარევად შეგროვებული კაცი, არც ერთი მათგანი მშენებლობაზე არ დარჩენილა, ჩასვლისთანავე ყველანი უკანვე დაბრუნდნენ. რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონებიდან (ახმეტის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, წალენჯიხის, თეთრი წყაროს და სხვ.) მშენებელთათვის წელს მესამე კვარტალში არც ერთი კაცი არ გაუგზავნიათ დასახმარებლად. ამის შედეგად მშენებლობებს ამჟამად 1000-მდე მუშა აკლიათ. რესპუბლიკის რაიონების ხელმძღვანელი ორგანიზაციები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ აღმოუჩინონ დახმარება ჰიდროელექტროსადგურების მშენებლებს კოლმეურნეობებიდან თავისუფალი მუშახელის გაგზავნით. საჭიროა ამასთან დაკავშირებით აღინიშნოს, რომ უკვე მომწიფდა საკითხი კოლმეურნეობებში თავისუფალი მუშახელის ორგანიზებულად შეგროვების არსებული წესის გადასინჯვისა რესპუბლიკის დიდი ელექტროსადგურების მშენებლობის სწრაფი განვითარების საჭიროების შესაბამისად. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ შევქმნათ მშენებელთა მუდმივი მაღალკვალიფიციური კადრები.

ჩვენი ჰიდროენერგომშენებლები ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ ჰიდროელექტროსადგურების სწრაფად მშენებლობას. ხშირად ჩვენს რესპუბლიკაში საშუალო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა გაცილებით უფრო მეტ ხანს გრძელდება, ვიდრე ეს დასაშვებია. ჰიდროენერგომშენებლები მოვალენი არიან ყველა ზომა მიიღონ ასამუშავებელ სიმძლავრეთა დანიშნული ვადებისათვის გასამართავად.

ყოველივე ნათქვამიდან ცხადი ხდება ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც პარტიის XX ყრილობისათვის მზადებაში ჩვენი რესპუბლიკის ენერგეტიკოს მშენებლებს ეკისრებათ. მშენებლები და მემონტაჟეები, ეჭვი არ არის, თავს გაართმევენ ამ ამოცანებს, თუ მათ დაეხმარება მთელი საზოგადოებრიობა, დაეხმარებიან რუსთავის მეტალურგები საარმატურო ლითონის მიწოდებით, შეცემენტელები — თავიანთი პროდუქციის შეუფერხებლად გაგზავნით, ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციები — საშენი მასალების მიზიდვითა და ადგილობრივი რაიონული ორგანიზაციები მუშახელის გაგზავნით.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და სოფლის მეურნეობის მინისტრი ბ-ნი კეიტ ხოლიოკი

იალტა, 17 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და სოფლის მეურნეობის მინისტრი ბ-ნი კეიტ ხოლიოკი და საუბარი ჰქონდა მასთან.

ჩვენს დიად სამშობლოში

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

გავაძლიეროთ საწარმოო თათბირების როლი საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებაში

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება საწარმოო თათბირების მუშაობის შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საწარმოო თათბირებს დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებაში. მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკთა კრიტიკა ხელს უწყობს მუშაობის ნაკლოვანებათა დროზე მხილებას, წარმოების დამატებითი რეზერვების გამონახვას. საწარმოო თათბირების განსახილველად შეტანილ უნდა იქნას ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, მძიმე და შრომატევადი პროცესების მექანიზაციის, მოქმედი მოწყობილობის მოდერნიზაციის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და სხვა საკითხები.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად უნდა უზრუნველყონ საწარმოო თათბირების რეგულარული მოწყობა ბრიგადებში, უბნებში, საამქროებში, განყოფილებებში, პროფესიების მიხედვით. იმასთან დაკავშირებით, რომ საწარმოთა კოოპერაციისა და სპეციალიზაციის შემდგომი განვითარება მოითხოვს წარმოების ყველა რგოლის უფრო შეწყობილ მუშაობას, რეკომენდებულია მოეწყოს მომიჯნავე ბრიგადების, უბნების, საამქროების საწარმოო თათბირები, აგრეთვე მომიჯნავე საწარმოთა საწარმო კონფერენციები ურთიერთ პრეტენზიების განსახილველად.

საწარმოო თათბირების მუშაობისადმი უშუალო ხელმძღვანელობა უნდა განახორციელონ: საწარმოში — საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ან მისმა მოადგილემ, საამქროში — საამქროს კომიტეტის თავმჯდომარემ ან წევრმა, უბანში, ბრიგადაში — პროფგაზეთფორგმა.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა პროფკავშირთა ცენტრალურ, რესპუბლიკურ და საოლქო კომიტეტებს, პროფკავშირთა რესპუბლიკურ და საოლქო საბჭოებს გააძლიერონ დახმარება საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტებისადმი საწარმოო თათბირების მუშაობის მოწყობაში, შეინწავლონ და გაავრცელონ თათბირებისადმი ხელმძღვანელობის დადებითი გამოცდილება.

(საკდესი).

დაამზადეს 15 მილიონი ჯონა სილოსი

კიევი. (საკდესი). უკრაინის კოლმეურნეობები ემზადებიან ზმისათვის, რომ საზოგადოებრივი პირუტყვი ზამთრის ბაგურ მოვლა-შენახვაზე გადაიყვანონ. რესპუბლიკაში თვითეული ძროხისათვის საშუალოდ დამზადებულია 21 ცენტნერი თივა და ჩალა, ჩადებულია 4,4 ტონა სილოსი.

სულ კოლმეურნეობებმა დამზადეს 15 მილიონ ტონაზე მეტი სილოსი, მისი 70 პროცენტზე მეტი სიმინდის დაქუცმაცებული ტაროები და ჩალა.

აზერბაიჯანის სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს მაგყლისა და ბოსტნეულის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმები

აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ პარტიისა და მთავრობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს სოფლის მეურნეობის აღმავლობის შესახებ, გაიხადეს რა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად, ვადამდე შეასრულეს მატყლის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა და მიეყიდა 15 ათასი ცენტნერით მეტი მატყლი, ვიდრე ამავე თარიღისათვის გასულ წელს. სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარება და მიყიდვა გრძელდება.

რესპუბლიკაში შესრულებულია აგრეთვე ბოსტნეულის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს დამატებით ჩაბარონ და მიჰყიდონ სულ ცოტა 10 ათასი ტონა ბოსტნეული.

გამოიცა მარქსისა და ენგელსის არქივის XIII ტომი

გამოვიდა „მარქსისა და ენგელსის არქივის“ მორიგი, XIII ტომი, რომელიც მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტმა მოამზადა. როგორც წინანდელი, XI და XII ტომები, ეს ტომიც შეიცავს კ. მარქსის ხელნაწერებს 1861 წლის შემდეგ რუსეთის სოციალურ-ეკონომიური განვითარების შესახებ.

კ. მარქსის ხელნაწერთა შორის დიდი ადგილი უკავია ჩანაწერებს, რომლებიც გაკეთებულია „საგადასახადო კომისიის შრომებში“ გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე. „საგადასახადო კომისიის შრომებში“ მარქსი იძენდა ფაქტიურ მასალას, რომელიც ახასიათებდა რეფორმისშემდგომ პერიოდში (60-70-იანი წლები) გლეხობის ეკონომიკასა და მდგომარეობას. „შრომების“ შესწავლის პროცესში მარქსმა გააკეთა მთელი რიგი თეორიული განზოგადებანი. (საკდესი).

თურქმენული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა მოსკოვში

დედაქალაქის კულტურული ცხოვრების ცენტრშია თურქმენული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა.

ფართო აუდიტორია შეიკრიბა 16 ოქტომბერს დღისით ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში თურქმენ მწერლებთან შესახვედრად.

თურქმენეთის სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ კ. კურბანსახატოვმა შეკრებილებს გააცნო თურქმენი პროზაიკოსები, პოეტები, დრამატურგები.

მწერალმა ბ. ქერბაბაევმა შეკრებილებს გააცნო თავისი შემოქმედებითი გეგმები, უამბო, თუ როგორ მუშაობს იგი ახალ რომანზე მენავთობეთა შესახებ. კ. სეიტლიევმა წაიკითხა თავისი ლექსი, ა. კრონგაუზმა შეკრებილებს წაუკითხა თავის ლირიკულ ნაწარმოებთა თარგმანები. პროზაიკოსმა ბ. სეიტაკოვმა განაცხადა, რომ დეკადისათვის რუსულ ენაზე გამოვიდა თურქმენეთის მშრომელთა ცხოვრების ამსახველ მოთხრობათა პირველი წიგნი. ასევე იგი წერს ისტორიულ რომანს, სადაც ასახულია ხალხის რევოლუციური წარსული. პოეტებმა ა. ატაჯანოვმა და ა. ხაიდოვმა წაიკითხეს ლექსები, დრამატურგმა გ. მუხტაროვმა ილაპარაკა თავის უახლოეს ნამუშევრებზე.

საღამოს თურქმენეთის ლიტერატორები და მსახიობები გულთბილად მიიღეს ყარხნის კულტურის სახლში ლ. ბ. კაგანოვიჩის სახელობის პირველი სახელმწიფო საკისართა ქარხნის მუშებმა, ინჟინრებმა და მოსამსახურეებმა.

დედაქალაქის ბევრი მცხოვრები და სტუმარი დაესწრო კვირის თურქმენ მსახიობთა დღისა და საღამოს სპექტაკლებს.

რესპუბლიკის ოპერისა და ბალეტის თეატრმა გამართა ორი წარმოდგენა — ბალეტი „ლდარ კოსე“ და ოპერა „შასენემ და გარიბი“.

სტალინის სახელობის თურქმენული დრამატული თეატრის რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კლასიკურ დრამატურგიას. 16 ოქტომბერს თურქმენეთის ხელოვნების ოსტატებმა დადგეს ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი — შექსპირის ტრაგედია „ოტელო“. მთავარ როლს ასრულებდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ყულამედოვი, რომელიც უკვე 15 წელიწადია დიდი წარმატებით ასრულებს ოტელოს როლს. მაყურებლებმა მაღალი შეფასება მისცეს შემოქმედებითი კოლექტივის მუშაობას.

წარმატებით გამოდიან ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის მსახიობები. 16 ოქტომბერს დილით ეგზავატანგოვის სახელობის თეატრის სცენაზე მათ დადგეს ა. პ. ჩეხოვის დრამა „სამი და“. მოსკოველებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს სპექტაკლისადმი. დამსწრენი მიესალმნენ შემსრულებლებს და რეჟისორს — თურქმენეთის სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ი. ფრომოვს. იმავე დღეს საღამოს თეატრში მეორედ დადგეს კ. სეიტლიევის პიესა „ჯაქანი“. (საკდესი).

სილოსის ჩადების გეგმების შესრულება

აბაშის რაიონის კოლმეურნეობებმა 10 ოქტომბრისათვის ჩადეს 7.046 ტონა სილოსი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7.000 ტონისა. სილოსის ჩადება გრძელდება.

* * *

სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობებმა 15 ოქტომბრისათვის შეასრულეს სილოსის ჩადების გეგმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ათასი ტონისა ჩადებულია 10.001 ტონა სილოსი, ანუ შარშანდელზე ორჯერ მეტი.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმის შესრულების მიმდინარეობა საქართველოს სს რესპუბლიკაში

(1955 წლის 10 ოქტომბრის ცნობებით).

ხორცი

წინ მიდიან

რაიონები	გეგმის შესრულება პროცენტობით	რაიონები	გეგმის შესრულება პროცენტობით
გურჯაანის	81,4	დუშეთის	74,1
ბოგდანოვკის	80,1	წითელწყაროს	72,7
მახარაძის	79,6	ამბროლაურის	72,5
სამხრეთ ოსეთის ა. ო.	74,8	გარდაბნის	71,8

ჩამორჩებიან

ფოთის	49,0	საგარეჯოს	54,2
თერჯოლის	52,0	კასპის	55,4
მაიაკოვსკის	52,4	აბაშის	58,8
ზესტაფონის	52,5	ყარელის	58,8

რძე

წინ მიდიან

ასპინძის	118,4	მახარაძის	93,6
გარეჯის	101,6	თეთრი წყაროს	92,8
გურჯაანის	99,1	გარდაბნის	92,0
ონის	95,6	მესტიის	92,0
წალენჯიხის	94,5	აჯარის ასსრ	91,6

ჩამორჩებიან

ზესტაფონის	50,1	ჭათურის	63,8
ფოთის	55,5	ახმეტის	64,0
ხობის	59,0	კასპის	64,4
ცხაკაიას	60,5	ყარელის	66,6
წულუკიძის	62,6		

კვერცხი

წლიური გეგმა შეასრულეს

ცაგერის	124,8	ასპინძის	116,2
ახალციხის	122,9	ბოგდანოვკის	115,1
წითელწყაროს	122,3	მარნეულის	102,1

ჩამორჩებიან

ზესტაფონის	58,4	ქარელის	65,5
თერჯოლის	59,8	ლანჩხუთის	68,1
ვანის	61,1	ტყიბულის	68,9
ხობის	63,3	აბაშის	69,9

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად

★

ნოვატორული მეთოდით

მახარაძის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივმა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას იკისრა წლიური საწარმოო გეგმის ორი თვით ადრე შესრულება და გეგმის გადამეტებით 7 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვება.

ფაბრიკის კოლექტივი წარმატებით ანაღდებს ამ ვალდებულებას. ცხრა თვის დავალება 113,1 პროცენტით შესრულა და გეგმის გადამეტებით უკვე გამოუშვა 5.510 ათასი მანეთის პროდუქცია. ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში განსაკუთრებით დაწინაურდა ძაფსაღები საამქრო, რომელსაც დ. სვანიძე ხელმძღვანელობს. ამ საამქროს ბრიგადებს შორის საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ ი. ყელაურიძის, შ. ღლონტის, მ. პავლოვისა და ბაბულეიშვილის ბრიგადებს.

ფაბრიკაში მასობრივად დაინერგა ნოვატორული მეთოდებით მუშაობა — პარკის დიფერენცირებული ხარშვა, ძაფის ორი ხელით ამოღება და ა. შ. ამ ნოვატორული გამოცდილების ათვისების შედეგად შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ათობით ახალი ადამიანები — თ. ხუხუნაიშვილი, ე. დუზენკო, ნ. გობრონიძე, ვ. კოჩეროვსკაია, ს. კორობკოვა, მ. ჩიბარდინა, ლ. მგელაძე და სხვ.

ი. ბერიშვილი,
ფაბრიკის მთავარი ინჟინერი.

თბილისი. ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივმა პარტიის XX ყრილობისათვის მზადებაში უკვე მოიპოვა მნიშვნელოვანი გამარჯვება — მეხუთე ხუთწლედი 15 ოქტომბრისათვის შეასრულა. **სურათზე:** ქარხნის მოწინავე ადამიანები (წინა პლანზე) ვ. ქერდიკაშვილი, გ. ვასილენკო და შ. ბაიჩაძე მუშაობენ მეხუთე ხუთწლედის ანგარიშში უკანასკნელი ავტომანქანის გამოშვებაზე. ფოტო შ. გოქაძისა.

★

მეაოცეჯე რაციონალიზატორები

სტალინირი. (საკ. კორ.). წარმატებით მუშაობს სტალინირის სატყეო კომბინატის კოლექტივი. მან ახალი გამარჯვება მოიპოვა პარტიის XX ყრილობისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში — ცხრა თვის დავალება 103,7 პროცენტით გაანაღდა.

წარმატებების მოპოვებაში თავიანთი წვლილი შეაქვთ ინჟინერ-ტექნიკოსებს და მუშებს. ისინი რაციონალიზატორული წინადადებებით ხელს უწყობენ მეტი პროდუქციის გამოშვებას, ხარისხის ამაღლებას, ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვას.

დამამზადებელი საამქროს უფროსმა ვ. ბურჯანაძემ შემოიტანა წინადადება დახერხილი მერქნის ნაცვლად საშრობ კამერებში გამოეშროთ ავეჯის დამზადებული დეტალები. ამ წინადადების დანერგვამ თითქმის 30 პროცენტით გაადიდა საშრობი კამერების გამტარუნარიანობა, გაუმჯობესა შრობის ხარისხი და მნიშვნელოვნად აამაღლა შრომის ნაყოფიერება. ბურჯანაძის წინადადებითვე განხორციელდა საბუფეტე კარადის უჯრების შეკვრის ახალი წესი, რამაც დიდი ეკონომია მისცა წარმოებას და გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

ინჟინერ ვ. ხაჩიძის წინადადებით სკამების ნაწილებს ახლებურად ამუშავებენ — ჯერ ზედაპირს აყრიალებენ, შემდეგ აწყობენ. ეს პროცესი წინათ პირიქით ხდებოდა. ამ წინადადების გამოყენებამ საგრძნობლად დაჩქარა ავეჯის დამზადება, აამაღლა პროდუქციის ხარისხი.

უკანასკნელ ხანებში კომბინატში 10 რაციონალიზატორული წინადადება იქნა შემოტანილი, რომელთა დიდი ნაწილი უკვე დაინერგა.

მანქანათმშენებლები ვალდებულებებს ანაღდებენ

ქუთაისი. (საკ. კორ.). მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი ახალი საწარმოო გამარჯვებებით ხვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავს. მან გადაჭარბებით შეასრულა 9 თვის და ოქტომბრის პირველი ნახევრის დავალებები.

მაღალნაყოფიერი შრომით თავი ისახელეს ამწყობ-მექანიკური, საიარაღო, საეჭსკავატორო და სხვა საამქროთა კოლექტივებმა.

*

*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

რაჭომ უარიგდება პარჭბიუროს დამახინჯებებს სავაჭრო ქსელში

კურორტ წყალტუბოში ყოველწლიურად მრავალი ათასი დამსვენებელი ჩამოდის. სამკურნალოდ ჩამოსულ მშრომელთა სამედიცინო და კომფორტალურ მომსახურებასთან ერთად დიდი ძიმავნელობა აქვს მათი ფართო ასორტიმენტის სამრეწველო და სასურსათო საქონლით მომარაგებას.

მაგრამ წყალტუბოს კურორტვაჭრობამ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყო სავაჭრო ქსელის გამართული, შეუფერხებელი მუშაობა. დიდია სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-მტაცებლობის შემთხვევები, ხშირია მოხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუების ფაქტები და სხვ. კურორტვაჭრობის პარტიული ბიურო კი შეურიგდა ამ ნაკლოვანებებს და არ აწარმოებდა ბრძოლას მათ წინააღმდეგ.

როგორც პარტბიუროს მდივნის ვ. კუჭავას საანგარიშო მოხსენებიდან გამოირკვა, წელს წყალტუბოს კურორტვაჭრობაში განიავებულია 910 ათასი მანეთი. სახელმწიფო ქონების მიმთვისებელთა შორის არიან კომუნისტებიც — გ. აფრიდონიძე, პ. ლადაძე, ნ. ყურაშვილი. მაგრამ პარტბიურო ნაკლებად იყო დაინტერესებული კომუნისტების საქმიანობით. რამდენიმე ხნის წინათ კომუნისტი ლ. ავალიანი ფასების დამახინჯებისათვის მოიხსნა სამუშაოდან. პარტბიუროს ამის შესახებ არათუ არ უმსჯელია, არამედ ამ ფაქტის შესახებაც კი არაფერი არ შეუტყვია.

სუსტი პარტიული კონტროლის შედეგად კურორტვაჭრობაში კვლავ გრძელდება დამახინჯებები. ცენტრალური საწყობში 12-13 ოქტომბერს აღმოჩნდა 60 ათასი მანეთის სწრაფსარეალიზაციო საქონელი, რომლის ქსელში გატანას საწყობის გამგე კომუნისტი მ. ფიჩხაძე რატომღაც აჭიანურებდა. დიდია კადრების დენადობა. 1955 წელს სავაჭრო ქსელში სამუშაოდ მიღებულია 348, ხოლო განთავისუფლებულია 200 კაცი.

ვაჭრობის მუშაკთა ერთი ნაწილი მოუქნელად მუშაობს. ამჟამად წყალტუბოში თითქმის დეფორმირებულია 360 ათასი მანეთის საქონელი. უკანასკნელ ხანებში მაღაზიებსა და ფარღულებში არ იმოვნებოდა მარილი, ბაბინ როცა საწყობში ბევრი არის.

— სერიოზული ნაკლოვანებები სავაჭრო ქსელში, — აღნიშნეს კამათში გამოსულმა კომუნისტებმა, — ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ პარტბიურო სრულ უუნარობას იჩენდა. დაბალ დონეზეა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა. საანგარიშო პერიოდში ბევრი კრება გაიმართა და მრავალი საკითხი განიხილეს, მაგრამ მივიწყებული იყო მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება. პარტიული კრებები ფორმალურად, მოვალეობის მოხდის მიზნით იმართებოდა.

წელს კედლის გაზეთის მხოლოდ ორი ნომერია გამოშვებული, და ამ ორ ნომერში მოთავსებული წერილებიც ზერელე და არაფრისმთქმელი. თითქმის ყველა კორესპონდენცია ერთსა და იმავე ავტორს ეკუთვნის. როგორც გაზეთის რედაქტორმა ნ. ჯაბუკიანმა განაცხადა, პარტბიუროს მდივანი და ბიუროს წევრები არ მონაწილეობდნენ კედლის გაზეთში.

მოუწესრიგებელია პარტიული მეურნეობა. ზოგიერთი კომუნისტი რამდენიმე წელია წასულია ორგანიზაციიდან, მაგრამ აღრიცხვიდან აქამდე არ არის მოხსნილი.

დაბალ დონეზეა კომუნისტთა პარტიული სწავლება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის მემსწავლელ წრეში მეცადინეობას სისტემატურად აცდენენ მსმენელები ფიჩხაძე, გოფაძე, დგებუაძე და სხვები. ლექციები ხშირად იმართება, მაგრამ რამდენიმე კაცის მეტი არ ესწრება.

კრებაზე მწვავედ გააკრიტიკეს რესტორან „წყალტუბოს“ დირექტორი დ. შათირიშვილი. იგი ხშირად ლოთობს, ეწევა გამოძალვას.

კომუნისტმა ვ. ბაბუნაშვილმა იოანპარაკა პარტიული ორგანიზაციის ნაკლოვანებებზე. პარტბიურო ძალიან სუსტად მუშაობდა, — თქვა მან, — ეს არც არის გასაკვირველი, ვინაიდან იგი დირექტორის სურვილის მიხედვით მოქმედებდა. პარტბიუროს მდივანი ვ. კუჭავა დირექტორის კაბინეტში მესვლის წინ ყოველთვის იკითხავდა ხოლმე — „უფროსი როგორ ხასიათზე არისო“.

კომუნისტებმა მოურიდებლად ამხილეს ნაკლოვანებანი.

პარტიულმა კრებამ დაბურული, ფარული კენჭისყრით აირჩია პარტბიუროს ახალი შემადგენლობა და მომავალი მუშაობისათვის მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი.

წყალტუბოს კურორტვაჭრობის პარტიული ორგანიზაცია ვალდებულია დაუყოვნებლივ აღმოფხვრას არსებული ნაკლოვანებანი, ძირფესვიანად გარდაქმნას პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა, აამაღლოს ვაჭრობის კულტურა.

გ. მეფისაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ახალ მიღწევათა დემონსტრაცია

გარეუბნის რაიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის და შემდგომი პლენუმების ისტორიულ გადწყვეტილებათა განხორციელებისა და პარტიის XX ყრილობის სასახელოდ შეხვედრისათვის თავდადებულად შრომობენ გარეუბნის რაიონის მოწინავე კოლმეურნეები და მექანიზატორები. მათ მიღწევათა დემონსტრაციას წარმოადგენს რაიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელიც კვირას, 16 ოქტომბერს, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა.

გარეუბნის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, საგამოფენო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ა. კორახანაშვილი ამბობს: გამოფენაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა რაიონის ათმა კოლმეურნეობამ. მათ შორის არიან ორთაჭალის მახარაძის სახელობის, მარტყოფის ლენინის სახელობისა და სტალინის სახელობის, ავჭალის სტალინის სახელობის, გლდანის მალენკოვის სახელობის, ნორიოს ლენინის სახელობის, დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობები.

სიტყვას იღებს ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ა. მიგრიაული. მას მოჰყავს წარმატებათა ამსახველი ციფრები და ფაქტები. კოლმეურნეობამ თვითეული საფურაეე ძროხაზე 1953 წელს მიიღო 1.600 ლიტრი რძე, 1954 წელს — 2.300, 1955 წელს — 2.815 ლიტრი, წელს სახელმწიფოს ჩააბარა 800 ტონა ბოსტნეული. კიდევ ჩაბარებს რამდენიმე ასეულ ტონას.

მოსავლიანობის გადიდებასა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებაზე ილაპარაკა მარტყოფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ვ. სუხიტაშვილმა.

— ოთხი თვეა, რაც ტაბახმელის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ვმუშაობ, — განაცხადა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა დ. ცხომარიამ. პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ამოცანად დაგვისახეს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობა. ჩვენ ამ ამოცანას მეცნიერების, კოლმეურნეების, მექანიზატორების თანამეგობრობით წარმატებით გადავწყვეტთ.

სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე პროფესორმა მ. რამიშვილმა, რომელმაც ყურადღება გაამახვილა კოლმეურნეობისათვის მეცნიერთა დახმარების გაძლიერებაზე.

საგამოფენო კომიტეტის თავმჯდომარემ გამოფენა გახსნილად გამოაცხადა. დაიწყო დამთვალიერებელთა დენა გამოფენის სტენდებისაკენ.

გამოფენაზე მნახველები ყურადღებით ათვალიერებენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, დიღმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მონაცემებს უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში. გამოფენაზე ფართოდ არის წარმოდგენილი ორთაჭალელთა წარმატებანი მარცვლეულის, ბოსტნეულისა და მეცხოველეობის დარგში. ასევე კარგად არის მოწყობილი მარტყოფის ლენინის სახელობის და სტალინის სახელობის, ავჭალის სტალინის სახელობის, ლილოს სტალინის სახელობის და სხვა კოლმეურნეობათა სტენდები.

მნახველთა ყურადღებას იპყრობს აქ წარმოდგენილი კრწანისის საჯიშე საბჭოთა მეურნეობა. ცალკეა მეცხოველეობის განყოფილება, სადაც ნახავთ რეკორდსმენ ძროხებს. ზოგიერთმა მათგანმა გასული წლის 1 ოქტომბრიდან 1955 წლის 1 ოქტომბრამდე მოიწველა ოთხი-ხუთი ათასი ლიტრი რძე. აქვეა წარმოდგენილი ჯიშიანი ბუღა-მწარმოებლები, ცხენები და სხვ.

ცალკე სტენდი აქვს დათმობილი მექანიზაციას. აქ წარმოდგენილია რამდენიმე მანქანა. მაგრამ ნაკლია ის, რომ გამოფენაზე ვერ ნახავთ ყველა იმ სახის ტექნიკას, რომლითაც შეიარაღებული არიან მტხ-ები.

გამოფენას ყოველდღიურად დიდძალი დამთვალიერებელი ჰყავს.

ნ. ჯანჯღავა.

* * *

გარეუბნის რაიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. **სურათზე:** მნახველები ეცნობიან ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ექსპონატებს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ახალი სასოფლო კლუბი

ბათუმი. (საკ. კორ.). ზეიმი ჰქონდათ ამ დღეებში ახალსოფელელ კოლმეურნეებს (ბათუმის რაიონი). კოლმეურნეობის კანტორის შენობაში გაიხსნა 300-ადგილიანი კეთილმოწყობილი სასოფლო კლუბი. ამ ზეიმს დაემთხვა მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა — კინოდანადგარის ამუშავება.

კოლმეურნეები სიხარულით შეხვდნენ ახალ კლუბში გამართულ კონცერტს, ხოლო დასასრულ ნახეს კინოფილმი „ჭრიჭინა“. ამ რამდენიმე დღის წინათ სოფელში მუშაობა დაიწყო ახალმა რადიოკვანძმა. სოფელი მთლიანად რადიოფიცირებულია.

ფელეტონი

კაცი—გამოცანა

ოგი შუა ხნის კაცად ჩაითვლება. დაბადებულია 1911 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ზემო ბოდბეში.

მისი ცხოვრების ისტორია, რაც ძუნწად არის აღნუსხული საარქივო ბარათში, რომელიც საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომში ინახება, უსათუოდ ყურადღების ღირსია.

1929-დან 1931 წლამდე ოგი ეწეოდა მწყემსის საპატიო შრომას სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობა „ნაპერწკალში“. შემდეგ მას სამედიცინო მუშფაკში ვხედავთ. მედიცინას შესწავლა და შედის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1938-39 წლებში არასრული საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეა. შემდეგ ზურგს აქცევს პედაგოგობას და მუშაობს გამომძიებლად ჯერ ყვარლის, მერმე გურჯაანის რაიონის პროკურატურაში. ამ პროფესიასაც იცვლის და გვევლინება გურჯაანის საკონსერვო ქარხნის დირექტორად. აქაც წყდება მისი მოღვაწეობა და 1944-46 წლებში ოგი ბაკურციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა. ორ წელს აღარა ჩანს ჰორიზონტზე... შემდეგ კი თბილისის არტელ „მკერავთა გაერთიანების“ საწყობის გამგეა. აქედან ამჯობინებს გადავიდეს არტელ „ინსაქმიანობაში“ მომარაგების უფროსად. დროებით რატომღაც წყდება მისი შრომის ძაფი, ხოლო 1950 წელს ცეკავშირის სისტემაში № 9 მაღაზიის გამგედ მუშაობს. ორ წელს კვლავ აღარა ჩანს მისი შრომის კვალი... ოგი ხაზს გადაუსვამს თავის ყველა პროფესიას და გვევლინება ბუჰპალტად სიღნაღის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ბუჰპალტრის პოსტზე იმუშავა 1954 წლის აპრილამდე და შემდეგ ნებაყოფლობითი ანუ მოზალისე „უმუშევარია“.

ჩვენ არ შეგვეძლო არ დავინტერესებულიყავით ამდენი პროფესიის მქონე ადამიანის ბედით, როდესაც წაიკითხეთ მისი ასეთი უცნაური ბიოგრაფია.

რატომ გავიდგა განზე პატივცემული სიმონ გაბრიელის-ძე ლეკიაშვილი სწორედ მაშინ, როდესაც თითქმის ყველა პროფესია ამოსწურა და „უნივერსალურ-უნიკალური“ ადამიანი გახდა? რატომ ამჯობინებს უმუშევრობას? ხომ კარგად იცის სოციალიზმის პრინციპი: „ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს“. იგი პარტიის წევრია, და ეს მან უეჭველად იცის, თუმცა ორი წლის მანძილზე თავის პარტიულობას ამით გამოხატავს, რომ თვეში აბაზს იხდის.

დიახ. წვრილშვილი სიმონ ლეკიაშვილი არსად არ მუშაობს აგერ თითქმის ორი წელიწადია. არ მუშაობს, მაგრამ თუ ჭამს? — აი საკითხი, რომელიც მიიპყრო ჩვენი ცნობისმოყვარეობა.

ჭამს და მერე როგორ! ჩიტის რძეს არ იკლებს. მისი ოჯახის წევრთა ჩაცმა-დახურულობას მეზობლები შენატრიან. მისი მეუღლე კრეპ-ყორეეტის კაბით გამოწყობილი წველის ახალწყიდ ძროხას. ჩვენ და თქვენ ავტობუსი და ტროლეიბუსი გვყოფნის ტრანსპორტად. ლეკიაშვილება „პობედით“ დადიან ბაზარშიც კი.

აი ასე აცხოვრებს თავის ცოლშვილს უმუშევარი სიმონ ლეკიაშვილი, კაცი-გამოცანა.

როდესაც სიმონს უფრო ახლო გაცნობა მოვინდომეთ, კიდევ ბევრ უცნაურობას წავაწყდით. მისამართი რომ მოვიკითხეთ, გარკვევით ვერ გვითხრეს. მიგვითითეს საბურთალოზე, ახალ სახლზე ლუქსემბურგის და ოდესის ქუჩების კუთხეში. ეს მისი საკუთარი სახლიაო. ჩვენ კი იქ მოქ. ქორიძე გვეგულებოდა, რადგან საქალაქო საბჭოს მიწების გამოყოფის ბიუროს ეს ნაკვეთი ქორიძეს მისცა. ქორიძის ნაკვეთზე ლეკიაშვილის სახლს რა უნდა? — გაკვირვებული ვეკითხებით მეზობლებს.

— ეს აქ ჩვეულებრივი მოვლენაა, — გვიპასუხეს. — ნაკვეთს ერთი იღებს, სახლს მეორე აშენებს.

სახლში შესვლა ვერ გავბედეთ, რადგან დიდი აურზაური შემოგვეკრა. ვიღაცა ბილიციელს დასაძახებლად გარბოდა.

— რა ამბავია? — ვეკითხეთ.

— არაფერი. ლეკიაშვილის მორიგი შეტევა ახალშესახლებულ მობინადრეებზეო, — გვიპასუხეს.

რაღაც ბიფთეკს რომ არ გადავყროდით, ვარჩიეთ დაგვეტოვებინა ოქტორობა და თბილისის საქალაქო საბჭოს ტექაღრიცხვის ბიუროს მიეკიდეთ იმის დასაზუსტებლად, თუ ვისია ის სახლი. გამოირკვა, რომ სახლი ჯერ საექსპლოატაციოდაც არ არის მიღებული, ხოლო მისი ცალკეული ოთახები გაყიდულია ექსჯერ.

საქმის ნამდვილი ვითარების დასადგენად მიგვითითეს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლოზე, სადაც დაგროვილია საჩივრები სხვადასხვა მოქალაქეებისა, რომელთა ხარჯზე თურმე ისე განცხრომით ცხოვრობს სიმონ ლეკიაშვილი.

სიმონ ლეკიაშვილი ინიტომ განდგომია საზოგადოებრივ შრომას, რომ გამოეწახავს ახალი „პროფესია“ — სახლების ყიდვა-გაყიდვა, რაც სხვა პროფესიებთან შედარებით ალბათ უფრო სარფიანად მიუჩნევია.

ამ საეჭვო წარმოშობის სახლში, რომელზეც ზემოთ მოკახსენეთ, სიმონ ლეკიაშვილი ასეთ ოპერაციებს ახდენს. ოთახების კონტურება რომ მოიხაზება, იშოვნის მუშტარს, დაუდებს რაღაც ყალთაბანდურ ხელშეკრულებას, დამოთავრებენებს მოპრიკეთებას, გამოირთვეს ლირებულებას, შემდეგ უჩივლებს სასამართლოში, როგორც პირობის დამრღვევს და გაიძევებს სახლიდან. ასე მოექცა მოქ. გედენიძეს. 19 ათას მანეთად მიჰყიდა ორი ოთახი. შემდეგ კი სასამართლოს საშუალებით გაასახლა და იგივე ოთახები მიჰყიდა მოქ. მ. გიორგობიანს, მაგრამ უკვე 50.000 მანეთად. საოცარი კაცია სიმონი! ის ოთახებიც გაყიდული აქვს, რომლებშიც თვითონ ცხოვრობს. თვითონ სადღა მიდისო, — იკითხავთ. პირს შეუშლის მყიდველს, შესწორებას შეიტანს ხელშეკრულებაში თავის სასარგებლოდ, უჩივლებს და გასახლებას, ფულსაც დაუბრუნებს, რადგან უკეთესი მუშტარი ჰყავს. ამას უპირებს ახლა მოქ. ქ. კანკავას. სიმონმა მოქ. კანკავას დაუმთავრებელი სამი ოთახი თავისი სამზარეულოთი 105.000 მანეთად მიჰყიდა, დაახარჯვინა მოპირკეთებაზე 40.000 მანეთი, ახლა კი სასამართლოში უჩივის, დამიცალე და შენი ფული მიიღეო, რადგან 200.000 მანეთს აძლევენ გაწყობილ ოთახებში.

სიმონს, ოთახების მობინადრენი მიდიან და მიდიან, ხოლო ათეულ ათასობით მანეთი სიმონის ჯიბეში რჩება. ასეთი „დანაზოგით“, უკეთ რომ ვთქვათ, დატყუებული ფულით სიმონი ახალ ნაკვეთებს და ახალ სახლებს იძენს, ცხოვრობს არხეინად და არაფრად ეპატრონება საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში ჩაბმა.

ჩვენ დაინტერესდით, სცადა თუ არა სიმონმა ამ ხნის განმავლობაში სამსახურში მოწყობა, და ვნახეთ ერთი დოკუმენტი, სახელდობრ მისი განცხადება პარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის სახელზე, სადაც იგი აღრიცხვაზეა, როგორც პარტიის წევრი.

რას წერს სიმონი თავის განცხადებაში? „ი რას: „გთხოვთ, როგორც პროფესიით იურისტს, აღმიძრათ შუამდგომლობა ადვოკატთა პრეზიდიუმის წინაშე მიმიღონ ადვოკატთა კოლეგიის წევრად“.

როდის მიიღო იურისტობა სიმონმა, ეს ვერ გავარკვიეთ.

ამას და ბევრ სხვა რამეს სიმონის ცხოვრებიდან, ალბათ, პროკურატურაში და სასამართლოში მომუშავე იურისტები დაუზუსტებენ და სიმონის გვერდით დასვამენ სიმონისთანა ტიპებს, რომლებიც სახელმწიფოს დახმარებას, კრედიტებსა და შეღავათებს ბოროტად იყენებენ და აღვირახსნილ სპეკულაციას ეწევიან. ასეთები კი მოიპოვებიან არა მარტო საბურთალოზე,...

გ. ზუბიძე.
კ. კაპანაძე.

საგაზეთო თემაზე

შემოქმედებითად ვიმუშაოთ გაზეთის თვითეულ ნომერზე

ჭიათურის რაიონის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, თავდადებით მუშაობენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების განხორციელებისათვის. საკოლმეურნეო სოფლებში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. მაგრამ ის დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა, რაც ამჟამად სოფლად სუფევს, თავის მკაფიო გამოხატულებას ვერ პოულობს რაიონული გაზეთის „კომუნისტური სიტყვის“ ფურცლებზე.

გაზეთი „კომუნისტური სიტყვა“ (რედაქტორი ამხ. ჯ. თოდრია) ზერელედ, მოსაწყენად წერს ადგილობრივ ცხოვრებაზე. მის ფურცლებზე ნაკლებად იბეჭდება საქმიანი წერილები, კორესპონდენციები, შენიშვნები რაიონის კოლმეურნეობების, მტს-ის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაზე.

„კომუნისტური სიტყვა“ გამოდის „პრავდის“ ნახევარი ფორმატის ორ გვერდზე კვირაში ორჯერ. ეს გარემოება რედაქციას ავალებს რაც შეიძლება მოფიქრებულად დაგეგმოს გაზეთის თვითეული ნომერი, მომჭირნეობით გამოიყენოს საგაზეთო ფართობი და ადგილობრივი ცხოვრებიდან აღებული ფაქტებით მკაფიოდ ასახოს რაიონის მშრომელთა სისხლსავსე ცხოვრება. მაგრამ, როგორც უკანასკნელი სამი თვის მანძილზე გამოსული ნომრებიდან ჩანს, რედაქციის კოლექტივი შემოქმედებითად არ მუშაობს გაზეთის თვითეული ნომრის გამოშვებაზე.

გაზეთის მთელ რიგ ნომრებში სჭარბობს ოფიციალური მასალები, საკადესის და საქადესის სტატიები, ადგილობრივი ცხოვრებისადმი კი მიძღვნილია ორი-სამი ინფორმაციული ხასიათის შენიშვნა. მაგალითად, 17 ივლისის ნომერში ადგილობრივი ცხოვრების ამსახველი მასალები ძლივს ავსებენ გაზეთის ორ სვეტს, დანარჩენი ფართობი კი ოფიციალურ მასალებსა და საკადესის ორ ვრცელ სტატიას უკავია. რამდენადაც ამ ნომრის პირველი გვერდი რედაქციამ ძირითადად მნიშვნელოვან ოფიციალურ ცნობებს დაუთმო, უკვე აღარავითარი ადგილი არ ჰქონდა მეორე გვერდზე საკადესის ვრცელი სტატიების, ისიც წვრილი შრიფტით — პეტიტით მოთავსებას.

შეიძლება გაზეთის 17 ივლისის ნომერზე არაფერი გვეთქვა, რომ ის გამონაკლისს შეადგენდეს. ასევე გადატვირთულია ოფიციალური მასალებითა და საკადესის სტატიებით „კომუნისტური სიტყვის“ 28 ივლისის, 4 აგვისტოს, 11, 18 და 22 სექტემბრის და ზოგიერთი სხვა ნომრები. ეს დამახასიათებელია რედაქციის მუშაობის სტილისათვის. მაგალითად, ივლისისა და სექტემბრის 19 ნომერში გაზეთმა დაბეჭდა საკადესიდან და საქადესიდან მიღებული 18 ვრცელი სტატია. რა თქმა უნდა ასეთი სტატიების გამოქვეყნება საჭიროა, მხოლოდ უნდა დავიცვათ ერთგვარი ზომიერება და, რაც მთავარია, ასეთი სტატიებიდან დასაბეჭდად შევარჩიოთ ისეთები, რომლებიც უფრო საინტერესო და სასარგებლო იქნება გაზეთის მკითხველისათვის. „კომუნისტური სიტყვა“ კი ხელაღებით, სრულიად შეურჩევლად ბეჭდავს თითქმის ყველა სტატიას, რომლებსაც იღებს საკადესიდან. საკითხავია, მაგალითად, რა მოსაზრებით დაბეჭდა 25 სექტემბრის ნომერში მოსკოვის ქარხანა „სტანკოლიტის“ დირექტორის პ. კულეშოვის სტატია „სპეციალიზებულ ქარხანაში“, რომელსაც პეტიტით (ისიც რატომღაც შავით) პირველი გვერდის სრული სამი სვეტი უკავია. ცნობილია, რომ ჭიათურის რაიონში არ არის სხმულის დამამზადებელი არცერთი სამრეწველო საწარმო და, ცხადია, ქარხნების სპეციალიზაციისა და კოოპერირების ორგანიზაციის საკითხებისადმი მიძღვნილი სტატია ინტერესს არ გამოიწვევდა „კომუნისტური სიტყვის“ მკითხველებში.

გაზეთი ანგარიშს არ უწევს თავისი მკითხველების ინტერესებს არა მარტო საკადესიდან და საქადესიდან მიღებული მასალების შერჩევისას, არამედ ზოგიერთი საკუთარი წერილის გამოქვეყნების დროსაც. მაგალითად, 3 ივლისის ნომერში გაზეთმა დაბეჭდა წერილი „კადრების სამჭედლო“, რომელშიც მისი ავტორი — სამტრედიის რაიონის კულაშის ზოოტექნიკურ-საველტერინარო ტექნიკუმის დირექტორი გ. ჩხეიძე ვრცლად მოგვითხრობს ტექნიკუმის საქმიანობაზე. მაგრამ რედაქცია ამით არ დაკმაყოფილდა, 14 ივლისს მოათავსა იმავე ტექნიკუმის დაუსწრებელი სწავლების განყოფილების გამგის ბ. ჯანელიძის ვრცელი წერილი. ამ წერილებში ლაპარაკი რომ ყოფილიყო ჭიათურის რაიონიდან კულაშის ტექნიკუმში სასწავლებლად წასულთა საქმიანობაზე, მათი გამოქვეყნება კიდევ შეიძლებოდა გამართლებულად ჩაგვითვალა, ისე კი პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ წერილების დაბეჭდვით გაზეთმა უნაყოფოდ დაკარგა ძვირფასი საგაზეთო ფართობი.

გაზეთი „კომუნისტური სიტყვა“ გვერდს უვლის მთელი რიგი სავალდებულო მასალების ბეჭდვას. მაგალითად, მის ფურცლებზე უკანასკნელი სამი თვის მანძილზე ვერ შეხვდებით ვერც ერთ მიმოხილვას საერთაშორისო ამბებზე, რომლებსაც უგზავნის რაიონულ გაზეთებს საკადესი და რომლებიც, როგორც წესი, კვირაში ერთხელ უნდა იბეჭდებოდეს.

„კომუნისტური სიტყვის“ მუშაკები მთელ რიგ შემთხვევებში არასერიოზულად ეკიდებიან საგაზეთო მასალების ლიტერატურულ დამუშავებას, ბევრი წერილი და შენიშვნა გაზვიადებულია, დაწერილია ტრაფარეტულად, მძიმე ენით. ხშირად შეხვდებით გაზეთში გაუმართავ წინადადებებს, ენერო გამოთქმებს. რედაქციის მუშაკთა დაუდევრობით ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ჭიათურის რაიონის ინსპექტორის ზ. ოქრომჭედლიძის წერილში „სანიმუშოდ ჩავატაროთ პირუტყვის საკავშირო აღწერა“ ღორი, ცხვარი, თხა, და ცხენი გაზეთმა მსხვილფეხა რქიან პირუტყვს მიაკუთვნა (?!).

ნაკლებ ყურადღებას აქცევს „კომუნისტური სიტყვის“ რედაქცია საგაზეთო მასალების „გეოგრაფიასაც“. გაზეთში წერილები და შენიშვნები იბეჭდება ძირითადად ერთი და იმავე სოფლებიდან, რაც იმას მოწმობს, რომ გაზეთს არა ჰყავს სოფლის კორესპონდენტთა ფართო, ქმედითი აქტივი.

გაზეთ „კომუნისტური სიტყვის“ მაგალითი, სამწუხაროდ, გამონაკლისს როდი შეადგენს. ის ნაკლოვანებები, რომლებიც გვხვდება მის მუშაობაში, მეტნაკლებად დამახასიათებელია რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონული გაზეთებისათვის, მათ შორის ზოგიერთი ოთხგვერდიანი გაზეთისთვისაც, რომლებიც კვირაში სამჯერ გამოდის.

ახლა უკვე რესპუბლიკის 25 რაიონული გაზეთი „პრავდის“ ნახევარი ფორმატის ოთხ გვერდზე კვირაში სამჯერ გამოდის. მაგრამ ბევრი მათგანი სათანადოდ ვერ იყენებს ამ უპირატესობას ადგილობრივი ცხოვრების რაც შეიძლება მრავალფეროვნად და მკაფიოდ გაშუქებისათვის. ზოგი მათგანი ზომაზე მეტად გატაცებულია ოფიციალური მასალების, საკადესის ვრცელი სტატიების ან ცენტრალური და რესპუბლიკური გაზეთებიდან აღებული წერილების ბეჭდვით.

ზუგდიდის რაიონული გაზეთი „მეხრძოლი“, მაგალითად, ხშირად ათავსებს „პრავდის“ მოწინავე სტატიებს (ისიც მათი „პრავდაში“ და რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნებიდან მეოთხე-მეხუთე დღეს) და მთელ რიგ დიდ ოფიციალურ მასალებს, რომელთა ბეჭდვა მისთვის სავალდებულო არ არის. გაზეთი უგულებელყოფს და იშვიათად ათავსებს საკადესის მიმოხილვებს საერთაშორისო საკითხებზე. მათ ნაცვლად ძალიან ხშირად ნომერში სამ სვეტამდე ფართობს ეთმობა რესპუბლიკური გაზეთებიდან ოსისტემოდ გადაბეჭდილ უცხოეთის ინფორმაციას. რაიონული გაზეთებისათვის არასავალდებულო ოფიციალური მასალების ბეჭდვით ზედმეტად არის გატაცებული აგრეთვე გეგეჭკორის რაიონული გაზეთი „სოციალისტური სოფელი“.

მთელ რიგ რაიონულ გაზეთებში მოუგვარებელია საკავშირო და რესპუბლიკური ინფორმაციის ბეჭდვა. იმის ნაცვლად, რომ ნომრიდან ნომერში ბეჭდონ მოკლე-მოკლე საკავშირო და რესპუბლიკური ინფორმაციები, რომლებსაც საქადესი კვირაში სამჯერ სპეციალურად რაიონული გაზეთებისათვის გადასცემს, ბევრი რაიონული გაზეთი მექანიკურად ბაძავს ცენტრალურ და რესპუბლიკურ გაზეთებს და ათავსებს ვრცელ განყოფილებებს საერთო სათაურებით „ჩვენს დიად სამშობლოში“ და „საბჭოთა საქართველოს დღე“. არანორმალური აქ ის არის, რომ არც თუ იშვიათად ეს განყოფილებები შედგენილია რესპუბლიკური გაზეთებიდან მექანიკურად, რაიონის ეკონომიკის თავისებურებისა და თავისი მკითხველების ინტერესების გაუთვალისწინებლად გადაბეჭდილი ინფორმაციებისაგან.

თვითეული რაიონული გაზეთის რედაქტორი და რედაქციის მთელი კოლექტივი ვალდებული არიან ისწრაფოდნენ იმისაკენ, რომ გაზეთის თვითეული ნომერი ღრმა შინაარსიანი, მებრძოლი, კულტურული, საზრიანად დაგეგმილი და ტექნიკურად მიმზიდველად გაფორმებული იყოს.

როგორც „რაიონული გაზეთების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 24 იანვრის დადგენილება მოითხოვს, რაიონული გაზეთის თვითეული ნომერი, უნდა შეიცავდეს სადღეისო თემაზე ცოცხალი და გასაგები ენით დაწერილ მოწინავე სტატიას, კორესპონდენციებსა და შენიშვნებს „კოლმეურნეობების, მტს-ების, სამრეწველო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კულტურული დაწესებულებების შესახებ; კორესპონდენციებს, რომლებშიც გაშუქებული იქნება წარმოების ნოვატორთა მოწინავე გამოცდილება და შრომის მეთოდები; კოლმეურნეთა წერილებს, ინფორმაციებს რაიონის, რესპუბლიკის, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებიდან. რაიონული გაზეთები კვირაში ერთხელ უნდა აქვეყნებდნენ საკადესის მიმოხილვებს საერთაშორისო ამბებზე. ამრიგად, რაიონული გაზეთის თვითეული ნომერი ცოცხლად, მიმზიდველად უნდა მოგვითხრობდეს რაიონის ცხოვრებაზე, გაბედულად აკრიტიკებდეს ნაკლოვანებებს, მკაფიოდ უჩვენებდეს მოწინავე ადამიანებს, მათი მუშაობის გამოცდილებას, კონკრეტული, დამაჯერებელი მაგალითებით რაზმავდეს რაიონის მშრომელებს ახალი წარმატებების მოსაპოვებლად.

ყოველივე ამას რაიონული გაზეთები წარმატებით შეასრულებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი რედაქციები პარტიის რაიკომების დახმარებით უფრო ფართოდ მიიზიდავენ პრესაში თანამშრომლობისათვის წარმოების მოწინავეებს, სოფლის პარტიულ, კომკავშირულ და საბჭოთა აქტივს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, მასწავლებლებს და სოფლის ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებს, სისტემატურად იმუშავებენ ავტორთა აქტივთან, რეგულარულად მოიწვევენ გაზეთის მკითხველთა თათბირებსა და კრებებს.

ლ. ასტვაცატუროვი.

კვების პროდუქტების ახალი მანქანები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, პარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის კონსტრუქტორთა შემოქმედებითი კოლექტივები ახალი, მაღალი წარმადობის მანქანებს აპროექტებენ.

საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო ქმნის კვების პროდუქტების ტექნოლოგიური გადამუშავებისათვის მანქანა-დანადგარების პროექტებს. ამ პროექტების საფუძველზე სამინისტროს საექსპერიმენტო სახელოსნო მანქანებისა და მექანიზმების პირველ ეგზემპლარებს აკეთებს ლითონისაგან.

დამზადებულია, მაგალითად, (ჯენტრიდანულ პრინციპზე მოქმედი ყურძნის წნები, ყურძნის წვენის ამრწყავი და ღვინის ავტომატურად ჩამომსხმელი მანქანები, ჩაის ფოთლის გარეგანი სინესტის განმსაზღვრელი აპარატი, ჩაის დუყის ხარისხებად დამჭრელი მანქანა და სხვ.

წინასწარი გამოცდის დროს ყველაზე კარგი შედეგი მოგვცა ღვინის ავტომატურად ჩამომსხმელმა მანქანამ, რომლის ავტორია ს. ქადეიშვილი. მანქანა წარმოადგენს ავტომატს, მოძრავი კარუსელური მაგიდით, პნევმატიკური ამწევი ცილინდრებით, ამრწყავი აპარატითა და ვაკუუმით, რომელთა საშუალებით მანქანას შეუძლია ჩამოასხას როგორც 0,5 და 0,75, ისე 1 ლიტრი სითხე.

მანქანა შემდეგნაირად მუშაობს: მოძრავ კარუსელურ მაგიდაზე დამაგრებული ბოთლები ლენტური ტრანსპორტიორით შედის გადამწოდებელ მექანიზმში, რომელიც ვარსკვლავას საშუალებით ბოთლს გადაადგილებს პნევმატიკური ცილინდრისაკენ. ცილინდრი კი ბოთლს მიაწვდის ჩამომსხმელი მწოვის დამჭერს, რომელიც მიმართველი თათების საშუალებით ბოთლის ყელს ჰერმეტულად ამჯენს ჩამომსხმელი მწოვის ცენტრალურ მილს. ამ დროს ბოთლიდან სწრაფად გამოიდევნება ჰაერი. ამრწყავი ჭურჭლიდან გამომწოვი მილით სითხე ჩაისხმება ბოთლში, მის გავსებას 9-10 წამი სჭირდება. შემდეგ ბოთლს პნევმატიკური ცილინდრი ხსნის ცენტრალური ჩამომსხმელი მილაკიდან და მოძრავ კარუსელურ მაგიდაზე დგამს. აქედან სავსე ბოთლი გამომტანი ვარსკვლავას წამღებ ტრანსპორტიორზე გადააქვს. ეს მანქანა 8 საათში 20 ათას ბოთლს ავსებს.

ამ რამდენიმე ხნის წინათ დაპროექტდა და შეიქმნა ქართული პურის მექანიზებული თონე. არსებულ თონეში ქართული პურის გამოცხობა დაკავშირებულია დიდ სიძნელეებთან. განსაკუთრებით ეს ითქმის მცხობლის მთლიანი ტანით თონეში ჩაკიდებაზე, საწვავის ჩაწყობასა და გამომცხვარი პურის ამოღებაზე. სიძნელეები ძირითადად ლიკვიდირებულია ახალშექმნილ მექანიზებულ თონეში, რომელიც წარმოადგენს კარუსელური სახის მოძრავ მექანიზმს. პურის მცხობელს შეუძლია იგი მართოს სპეციალური საჭით ერთი გარკვეული ადგილიდან, თონეში ჩაუშვებლად ამოიღოს გამომცხვარი პური და ჩააკრას ცომი. ასეთ თონეში საწვავად შეიძლება გამოიყენოთ ქვანახშირი, ტორფი, შეშა, აგრეთვე მაზუთი. მექანიზებული თონე დღეღამეში სამ ტონა ქართულ პურს გამოაცხობს.

სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო ამჟამად აპროექტებს სხვადასხვა მანქანა-მოწყობილობას, მაგალითად, მუყაოს საშრობ მანქანას, ყურძნის პირველადი და მწვანე ჩაის გადამუშავების უწყვეტ ხაზებს.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი დამკვეთი ტრესტი აჭიანურებს საკონსტრუქტორო ბიუროს მიერ დაპროექტებული მანქანების დამზადებას და წარმოებაში დანერგვას. სამტრესტმა დღემდე არ დანერგა ყურძნის ხუთტონიანი წნეხის ამძრავი მექანიზმი. საქართველოს ჩაის ტრესტს არ დაუმზადებია ინჟინერ შარკოვსკის მიერ კონსტრუირებული ჩაის საღონობი დანადგარის მექანიზმები. ეს ხდება მაშინ, როცა ამ პროექტების შექმნაზე დახარჯულია რამდენიმე ათეული ათასი მანეთი. საკონსტრუქტორო ბიუროს ძლიერ უშლის ხელს მუშაობაში აგრეთვე ის, რომ მას არა აქვს სპეციალური ლაბორატორია, სადაც შესაძლებელი იქნებოდა საჭირო ტექნოლოგიური გადამუშავების ცდების მოწყობა.

გ. სიხარულიძე,

საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს კონსტრუქტორი.

სოხუმი. სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკა. **სურათზე:** მსუბუქი შეფუთვის პაპიროსის ეტიკეტების სპეციალური საოფლავი სროტაციო მანქანა. **წინა პლანზე:** ეტიკეტების მიმღები ლილი აშბა, რომელიც დღიურ ნორმას 115 პროცენტით ასრულებს.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

საჩუქარი საშეფო რაიონის მშრომელებს

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი შეფობას უწევს კასპის რაიონის მშრომელებს (საშეფო კომისიის თავმჯდომარე რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ჩიხლაძე).

თეატრის კოლექტივი კასპში მართავს კონცერტებს, რაიონის კულტურის სახლებსა და კლუბებს უწევს კონსულტაციას და მეთოდურ დახმარებას, გარდა ამისა, ამ დღეებში თეატრმა კასპის რაიონის კულტურის სახლებსა და კლუბებს საჩუქრად გადასცა 8.536 მანეთის ინვენტარი, აქედან 3.427 მანეთის სხვადასხვა სახის 105 ცალი თეატრალური კოსტიუმი და 29 წყვილი ფეხსაცმელი, 3.484 მანეთის მხატვრული განათების 24 ცალი ელექტროპარატურა და 1.625 მანეთის 246 ცალი ავეჯი და რეკვიზიტი.

რუსთაველის სახელობის თეატრის დახმარება დიდად უწყობს ხელს რაიონში მხატვრული თვითმოქმედი წრეების მუშაობის შემდგომ ამაღლებას.

საბავშვო ბიბლიოთეკაში

ზუგდიდი. („კომუნისტის“ კორ.). ქალაქ ზუგდიდის საბავშვო ბიბლიოთეკას შვიდასამდე ნორჩი მკითხველი ჰყავს. ბიბლიოთეკასთან არსებობს ლიტერატურისა და ბიბლიოთეკის მეგობართა წრეები. ბავშვებს აქ ფულმოდგინედ ურჩევენ შესაფერ ლიტერატურას, აჩვენენ კითხვის კულტურას, უნერგავენ წიგნისადმი სიყვარულს, აწყობენ ექსკურსიებს. ხშირად იმართება მკითხველთა კონფერენციები, ნაწარმოებთა ხმამაღლა კითხვა. გამოდის ყოველთვიური კედლის გაზეთი „ნორჩი მკითხველი“.

ბიბლიოთეკაში პერიოდულად ივსება ახალი წიგნებით. აქ გამოწერილი აქვთ ორმოცამდე სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები.

ბიბლიოთეკაში მოწყობილია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი გამოფენები.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ერთი დაუმთავრებელი მშენებლობის ისტორია“

„კომუნისტის“ 31 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ წერილში მხილებული იყო „თბილისის ორგანიზაციის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშათა საცხოვრებელი სახლის მშენებლობის გაჭიანურების მიზეზები.

აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილება გვატყობინებს, რომ სამინისტრომ სწორად ცნო კრიტიკა და დასახა ღონისძიებანი მშენებლობის დაჩქარებლად, იმ ვარაუდით, რომ მშენებლობის პირველი რიგი დეკემბრის ბოლოს დამთავრდება.

„ელექტროქვესადგურის აგებას აგვიანებენ“

„კომუნისტის“ 19 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს სსრ საშინ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ფაბრიკში თბილისის ტუფის ქარხანასთან უნდა აეშენებინა ელექტროქვესადგური, მაგრამ მშენებლობა ძალზე ჭიანურდება.

საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს რედაქციის ატყობინებს, რომ ელექტროქვესადგურის მშენებლობა ამჟამად დამთავრებულია, მაგრამ იგი საექსპლოატაციოდ გადაეცემა მხოლოდ კასპთემამის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის რეკონსტრუქციის შემდეგ.

საბჭოთა სამხედრო ხომალდები ინგლისში

პორტსმუთი, 14 ოქტომბერი. (საკუთარი სპეც. კორ.). გუშინ სალამის პორტსმუთის ლორდ-მერმა დიდი დარბაზობა მოაწყო საბჭოთა ხომალდების აქ ყოფნის გამო. ქალაქის ასობით მცხოვრებნი, რომლებიც შეიკრიბნენ ალმებითა და ილუმინაციის ნაირფერი შუქით მორთული დარბაზის შესასვლელთან, გულთბილად მიესალმნენ დარბაზობაზე მოსულ საბჭოთა სტუმრებს. დარბაზის შესასვლელის თავზე გამოკიდებული იყო დიდი პლაკატი რუსული წარწერით: „საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტს გულითადი სალამი!“.

დარბაზობაზე გამოსულმა ადმირალმა კრიზიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი ურთიერთ ვიზიტები ხელს უწყობენ ხალხთა შორის უნდობლობის მოსპობას, და იმედი გამოთქვა, რომ საბჭოთა ესკადრის ვიზიტი პორტსმუთში და ინგლისის ესკადრისა ლენინგრადში ორი ქვეყნის მეზღვაურთა შორის უფრო ფართო კონტაქტის დამყარების მზოლოდ დასაწყისია. ადმირალმა გოლოვკომ საპასუხო სტუდენტში მადლობა გადაუხადა პორტსმუთის ხელისუფალთ საბჭოთა მეზღვაურებისათვის აღმოჩენილი სტუმართმოყვარეობისა და გულითადი მიღების გამო. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ადმირალ გოლოვკოს საჩუქარი მიართვეს.

ბალტიის ფლოტის სამღერისა და ცეკვის ანსამბლმა დარბაზობის დროს დიდი საკონცერტო პროგრამა შეასრულა. კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

ფლაგმანზე ყოველდღე მრავალი წერილი და დეპეშა მოდის სხვადასხვა ორგანიზაციისა და კერძო პირებისაგან. წერილების ავტორები მადლობას უცხადებენ საბჭოთა მეზღვაურებს იმისათვის, რომ ინგლისში ჩამოვიდნენ, და იწვევენ მათ რიგითი ინგლისელების სახლებში. ლონდონის მცხოვრებმა პოლ ვეისმა გამოგზავნა წერილი, რომლითაც თავისი მეგობრების, მეზობლებისა და მუშაობით ამჩანაგების სახელით მიესალმება ინგლისში ჩამოსულ საბჭოთა მეზღვაურებს. „ჩვენ მიგვაჩნია, — ნათქვამია წერილში,—რომ საბჭოთა და ინგლისელი ხალხების ნება და მათი ურთიერთ სურვილია იცხოვრონ მშვიდობიანად და მეგობრულად, განუხრელად განამტკიცონ ურთიერთობა ასეთი ვიზიტებით, განავითარონ სავაჭრო და კულტურული გაცვლა, რაც გამოიწვევს დაძაბულობის შენელებას ჩვენს ურთიერთობაში. ჩვენ გვსურს, რომ საბჭოთა კავშირში დაბრუნებისას გადასცეთ საბჭოთა ხალხს: ჩვენ გულწრფელად ვიმედოვნებთ, რომ შემდგომ გაფართოვდება კონტაქტი ჩვენს შორის ყოველგვარი შესაძლებელი საშუალებით“.

პორტსმუთი, 15 ოქტომბერი. (საკუთარი). დღეს დილადან ნავსადგურის შესასვლელთან ჩაშწერიდა პორტსმუთისა და სხვა ქალაქების ათასობით მცხოვრები, რომლებსაც სურთ ეწვიონ საბჭოთა ხომალდებს.

ფიანდახდგებულ ტრაპებთან სტუმრებს ხვდებიან საბჭოთა მეზღვაურები — ესმარებიან ხნიერებსა და ბავშვებს. როგორც ყოველთვის, ყველაზე მეკვირცხლნი აღმოჩნდნენ ბავშვები. ისინი პირველნი ავიდნენ ხომალდებზე. ზოგიერთნი გარსშემოვლიეს საბჭოთა მეზღვაურებს, სხვებმა დაიწყეს ნადირობა ნიშნებზე, ლენტებზე, ლია ბარათებზე მოსკოვისა და ლენინგრადის ხედით.

კრეისერ „სვერდლოვის“ კიჩოს ალმის ქვეშ შეიკრიბნენ ინგლისელი და საბჭოთა მატროსები. საბჭოთა მეზღვაურები რუსული პაპიროსით უმასპინძლდებიან სტუმრებს, ესაუბრებიან სამსახურის შესახებ. სამხსოვრად იღებენ სურათს და ერთმანეთს უცვლიან ქუდის ლენტებს. „თქვენი აქ მოსვლა, — ამბობს ერთი ინგლისელი მატროსი, — შესანიშნავი ამბავია. ძალიან ეწუწუარ, რომ ვერ მოვახერხე ჩვენს ესკადრასთან ერთად წავსულყავი ლენინგრადში“.

კრეისერ „სვერდლოვის“ ქვედა და ზედა გემბანებზე ათასობით სტუმარია. ქვეშეფთა კოშკებთან და სატორპედო აპარატებთან ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილან ავტოგრაფებისა და გულითადი საუბრის მოყვარულნი — არა იმდენად და არა მარტო სიტყვით საუბრისა, რამდენადაც ჟესტებით საუბრისა. ვიღაც ცდილობს ნახატების საშუალებით გამოთქვას თავისი აზრი. როცა ახერხებენ ერთმანეთის აზრის გაგებას, სახეზე ღიმილი ანათებდათ. თანამოსაუბრენი გამოთხოვებისას დიდხანს მაგრად ართმევენ ხელს ერთმანეთს.

ყველაზე მეტი გამოცოცხლებაა ბაკთან, სადაც თერმ ბრეზენტგადაკრულ მთავარი ალმების ქვეშ ისმის სიცილი და ხუმრობა. მატროსული აკორდეონის აკომპანემენტზე ვალსს ცეკვავენ საბჭოთა მატროსები და ინგლისელი ქალიშვილები. უფრო ხნიერებს მჭიდრო წრე გუკეთებიათ, იღიმებიან და მოწონებას გამოხატავენ. ერთი ქალი, რომელიც თავის შვილიშვილებთან ერთად მოვიდა ხომალდზე, ამბობს:

„რა კარგი ოჯახებია, საბჭოთა ხომალდების გემბანებს რომ მუდამ იყენებდნენ როგორც საკუკეთო მოედნებს და არასოდეს არ იყენებდნენ ომისათვის“.

პორტსმუთში დაბინდდა. ხომალდებზე აანთეს ელექტრონათურების გირლანდები, რის გამო მკაფიოდ მოჩანს კრეისერებისა და საესკადრო ნაღმოსანების ლამაზი სილუეტები.

დღეს საბჭოთა მეზღვაურები კვლავ ეცნობოდნენ პორტსმუთს.

კრეისერ „სვერდლოვის“ ოფიცერთა და მატროსთა ჯგუფი ეწვია ინგლისის ავიოსან „ბულვერკს“. ჩვენმა მეზღვაურებმა საჰაერო საჭურველი გაცვალეს ავიოსანის ეკიპაჟთან.

ინგლისის ხომალდები ლენინგრადში

ლენინგრადი, 15 ოქტომბერი. (საკუთარი). დღეს ლენინგრადში ცუდი ამინდია. წვიმს. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია კატერების გაცხოველებული მოძრაობისათვის, რომლებთანაც ლენინგრადელთა ახალი და ახალი ჯგუფები მიდიოდნენ ბრიტანეთის ხომალდებზე. ავიოსან „ტრიუმფზე“, ინგლისის ნაღმოსნებზე გრძელდებოდა მეგობრული შეხვედრები, ერთმანეთის გაცნობა.

მ. ვ. ფრუნზეს სახელობის უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის კურსანტთა დიდი ჯგუფი იყო ავიოსან „ტრიუმფზე“. ინგლისელი ოფიცრები და მატროსები მეგობრულად შეხვდნენ საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის მომავალ ოფიცრებს, აჩვენეს მათ ხომალდი, ილაპარაკეს თავიანთ ფლოტურ ცხოვრებაზე.

თავის მხრივ ინგლისელმა კადეტებმა და გარდამარინებმა ინახულეს მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სასწავლებელი. მათ დიდი ინტერესით გაიცნეს საბჭოთა კავშირის ეს უძველესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი, სადაც აღიზარდნენ რუსეთის ცნობილი ფლოტმძღოლები ფ. ფ. უშაკოვი, პ. ს. ნახიმოვი, მ. პ. ლაზარევი და სხვები. სტუმრები იყვნენ კათედრებზე, სასწავლო კლასებში, კლუბში, კაბინეტებში, სასწავლებლის საცხოვრებელ შენობებში.

დღეს ინგლისის ხომალდებზე სადილები გამართეს საბჭოთა ოფიცრების პატივსაცემად. ჩვენს ესკადრასთან ერთად წავსულყავი ლენინგრადში“.

კრეისერ „სვერდლოვის“ ქვედა და ზედა გემბანებზე ათასობით სტუმარია. ქვეშეფთა კოშკებთან და სატორპედო აპარატებთან ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილან ავტოგრაფებისა და გულითადი საუბრის მოყვარულნი — არა იმდენად და არა მარტო სიტყვით საუბრისა, რამდენადაც ჟესტებით საუბრისა. ვიღაც ცდილობს ნახატების საშუალებით გამოთქვას თავისი აზრი. როცა ახერხებენ ერთმანეთის აზრის გაგებას, სახეზე ღიმილი ანათებდათ. თანამოსაუბრენი გამოთხოვებისას დიდხანს მაგრად ართმევენ ხელს ერთმანეთს.

ყველაზე მეტი გამოცოცხლებაა ბაკთან, სადაც თერმ ბრეზენტგადაკრულ მთავარი ალმების ქვეშ ისმის სიცილი და ხუმრობა. მატროსული აკორდეონის აკომპანემენტზე ვალსს ცეკვავენ საბჭოთა მატროსები და ინგლისელი ქალიშვილები. უფრო ხნიერებს მჭიდრო წრე გუკეთებიათ, იღიმებიან და მოწონებას გამოხატავენ. ერთი ქალი, რომელიც თავის შვილიშვილებთან ერთად მოვიდა ხომალდზე, ამბობს:

„რა კარგი ოჯახებია, საბჭოთა ხომალდების გემბანებს რომ მუდამ იყენებდნენ როგორც საკუკეთო მოედნებს და არასოდეს არ იყენებდნენ ომისათვის“.

პორტსმუთში დაბინდდა. ხომალდებზე აანთეს ელექტრონათურების გირლანდები, რის გამო მკაფიოდ მოჩანს კრეისერებისა და საესკადრო ნაღმოსანების ლამაზი სილუეტები.

დღეს საბჭოთა მეზღვაურები კვლავ ეცნობოდნენ პორტსმუთს.

კრეისერ „სვერდლოვის“ ოფიცერთა და მატროსთა ჯგუფი ეწვია ინგლისის ავიოსან „ბულვერკს“. ჩვენმა მეზღვაურებმა საჰაერო საჭურველი გაცვალეს ავიოსანის ეკიპაჟთან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ჩეხოსლოვაკიაში

ბრნო, 15 ოქტომბერი. (საკუთარი სპეც. კორ.). გუშინ დილით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის მანქანათმშენებელი მრეწველობის ერთ-ერთ უდიდეს ცენტრში — ქალაქ ბრნოში. დელეგაციას ახლავან ეროვნული კრების თავმჯდომარე ზდენეკ ფირლინგერი და ეროვნული კრების პრეზიდიუმის ზოგიერთი წევრი.

მთელ 250-კილომეტრიან გზაზე დელეგაციას განსაკუთრებული გულთბილობით ხვდებოდნენ ქალაქებისა და სოფლების მშრომელები. ყველგან გაისმოდა მისასალმებელი შეძახილები მოძმე საბჭოთა ხალხის პატივსაცემად. განიერ ტილოებსა და პლაკატებზე წაიკითხავდით რუსულ და ჩეხურ ენებზე სიტყვებს: „გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას!“, „გაუმარჯოს მოძმე საბჭოთა კავშირს!“, „ვსწავლობთ საბჭოთა კავშირისაგან სოციალიზმის აშენებას და მშვიდობისათვის ბრძოლას“.

ქალაქ ბრნოში ჩამოსვლისას სტუმრებს შეხვედა ბრნოს საოლქო ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე იან ნედელკა.

ნაშუადღევს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ მოედნებზე და ახლომახლო ქუჩებში გამართა მიტინგი, რომელშიც მონაწილეობდა 60 ათასზე მეტი კაცი. შეკრებილნი შეძახილებით „ვაშა!“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!“ შეხვდნენ საბჭოთა პარლამენტარებს, როცა ისინი ტრიბუნაზე გამოჩნდნენ.

ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნების შესრულების შემდეგ მიტინგი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ბრნოს საოლქო ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ფრანტიშეკ ტიმეშმა. შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ბრნოს საოლქო ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ იან ნედელკამ. მან აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა საპარლამენტო დელეგაციის ჩამოსვლა მოწმობს ურღვევ მეგობრობას, რომელიც ორ ხალხს შორის არსებობს, და ხელს შეუწყობს კიდევ უფრო ღრმა ურთიერთ გაგებას და ამ. მეგობრობის განმტკიცებას.

საბჭოთა საპარლამენტო დელეგაციის სახელით საპასუხო სიტყვა წარმოთქვა რუსეთის სფსრ კულტურის მინისტრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ტ. მ. ზუეევამ, რომელმაც მადლობა გამოთქვა გულთბილი მიღებისათვის, რაც დელეგაციის წევრებს გაუწიეს ქალაქ ბრნოს მცხოვრებლებმა, და მორავიის მხარის ყველა მშრომელს გადასცა საბჭოთა კავშირის მუშების, გლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციის მზერალე სალამი. საბჭოთა ხალხი, თქვა მან, გულწრფელი სიყვარულითა და მეგობრული გრძნობით ეკიდება თქვენს შესანშნავ ქვეყანას, ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასს, გლეხობასა და მშრომელ ინტელიგენციას.

მიტინგის შემდეგ დელეგაციის წევრებმა დათვალიერეს ჩეხოსლოვაკიის მანქანათმშენებლობის რესპუბლიკური გამოფენა, რომელიც მოწყობილია ბრნოში. ამ გამოფენაზე წარმოდგენილია 4 ათასი სხვადასხვა ტიპის სამრეწველო მოწყობილობა — ჩარხები, მანქანები, მათ შორის უნიკალური, ზუსტი საზომი და სხვა ხელსაწყოები, რომლებიც გამოყენებულია სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა დარგში, სამედიცინო და სხვა სამეცნიერო კვლევაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია იუგოსლავიაში

სალიტი, 14 ოქტომბერი. (საკუთარი სპეც. კორ.). დღეს დუბროვნიკიდან სალიტში გემ „ნოვი-სადით“ ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია.

სალიტში საბჭოთა პარლამენტის დელეგაცია იყო ადგილობრივ ვერფებში და „იუგოვინილის“ პლასტმასების ქარხანაში. ვერფებში უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა დაათვალიერეს 10 ათასი ტონა ტვირთამწეობის სატვირთო გემისა და ორი სამგზავრო გემის მშენებლობა. ომამდე ახლანდელი ვერფის ადგილზე იყო პატარა შემკეთებელი სახელოსნოები. ახლა ვერფი ფართოვდება და მომავალში აქ განზრახულია აშენდეს 30 ათასამდე ტონა ტვირთამწეობის გემები.

„იუგოვინილის“ პლასტმასების ქარხნის მშენებლობა დაიწყო 1946 წელს და ქარხანა მწყობრში ჩადგა 1950 წელს. ქარხანა აღჭურვილია უახლესი მანქანებით.

გუშინ ჩერნოგორიის სახალხო სკუპშჩინის თავმჯდომარემ ბლაჟო იოვანოვიჩმა სადილი გამართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის პატივსაცემად. უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისადმი მიმართულ სიტყვაში ბლაჟო იოვანოვიჩმა თქვა, რომ პარლამენტის დელეგაციების გაცვლა სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის ხელს შეუწყობს ორი ხალხის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას. მან თქვა, რომ მძიმე პერიოდი საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთობაში, რომელიც 1948 წელს დაიწყო, წარსულს ჩაბარდა და არ გამეორდება. შეეხო რა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის ჩამოსვლას ბელგრადში და სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციის, იოვანოვიჩმა თქვა:

მე ვფიქრობ, რომ ბელგრადში ამ შეხვედრის დროს არა მარტო დამყარდა სწორი ურთიერთობა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხებს შორის, არამედ ამ გადაწყვეტილებას გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს... ვფიქრობ, რომ ჩვენმა ადამიანებმა სწორად გაიგეს დელეგაციისა და ყველაფერს აკეთებენ მის განსახორციელებლად. დღეს ჩვენ მეტი ვიცით საბჭოთა კავშირის შესახებ, ისევე როგორც იუგოსლავიის შესახებ. თქვენ გაეცანით ჩვენს მიღწევებს, და, როგორც ხედავთ, ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ. მაგრამ ჩვენ კიდევ უფრო ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ.

მინდა დაგარწმუნოთ, თქვა ბლაჟო იოვანოვიჩმა, რომ ჩვენ წმინდა გულით ვამბობთ, რომ მხარს ვუჭერთ უაღრესად მჭიდრო ურთიერთობას იუგოსლავიასა და საბჭოთა კავშირს შორის. ჩერნოგორიის ხალხის სახელით მინდა ვთქვა, რომ ვუსურვებ საბჭოთა კავშირის ხალხებს ყველაზე დიდ წარმატებებს მათს მუშაობაში. ბლაჟო იოვანოვიჩმა გამარჯვება უსურვა იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის ურღვევ მეგობრობას, ჩვენი ქვეყნების ხალხთა მტკიცე მეგობრობას.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მეთაურმა ა. პ. ვოლკოვმა, რომელმაც უმაღლესი საბჭოს მთელი დელეგაციის სახელით მადლობა გადაიხადა გულთბილი და გულითადი სტუმართმოყვარეობისათვის, რომელსაც საბჭოთა პარლამენტის დელეგაციას უწევენ.

ჩვენ, თქვა ვოლკოვმა, ჩვენდამი ასეთი დამოკიდებულება მიგვაჩნია დიდი ფულწრფელი პატივისცემის ნიშნად, რომლითაც ჩერნოგორიელი ხალხი გამსჭვალულია მრავალეროვანი საბჭოთა კავშირისადმი. საბჭოთა ადამიანებს უყვართ ჩერნოგორიის ხალხი თავისუფლებისმოყვარეობისათვის, გმირობისათვის, პატიოსნებისა და სიმართლისათვის. ვოლკოვმა ილაპარაკა საბჭოთა კავშირის მიღწევებზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ შესაძლებელია დამყარდეს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის თანამშრომლობა ტვირთების ყველა დარგში.

საბჭოთა პარლამენტის დელეგაციის მეთაურმა განმტკიცება უსურვა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მეგობრობას და წარმატება უსურვა იუგოსლავიის ხალხებს, რომლებიც იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ხელმძღვანელობით ბედნიერი მომავლისაკენ მიდიან.

რიეკა, 15 ოქტომბერი. (საკუთარი სპეც. კორ.). დღეს სალიტიდან რიეკაში გემ „ნოვი-სადით“ ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია. დელეგაცია გაეცნო ქალაქის ღირსშესანიშნაობებსა და ისტორიულ ძეგლებს და იყო იუგოსლავიის უდიდეს გემთსაშენ ვერფში — „3 მაისი“. უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა დაათვალიერეს 10,6 ათასი ტონა წყალწყვის გემები, რომლებიც შენდება. ახსნა-განმარტებას იძლეოდა საწარმოს დირექტორი დ. ვუკასოვიჩი. მან უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს უამბო ვერფის ისტორია, ელაპარაკა გემების შესახებ, რომლებიც შენდება და შეეხო საწარმოს განვითარების პერსპექტიულ გეგმას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მეთაურმა ა. პ. ვოლკოვმა დელეგაციის სახელით მადლობა გადაუხადა დ. ვუკასოვიჩს ამისათვის, რომ შესაძლებლობა მიეცათ დათვალიერებინათ გემთსაშენი ვერფი და მიეღოთ ახსნა-განმარტება. მან აგრეთვე უსურვა გემთშენებლებს შემდგომი საწარმოო წარმატებანი.

მოკლე ხნის შესვენების შემდეგ უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ოპატიასა და პულაზე გავლით ბრიონის კუნძულზე გაემგზავრა.

ინგლისიდან გამოემგზავრა საბჭოთა კავშირის მსუბუქი მრეწველობის სპეციალისტთა და მუშაკთა დელეგაცია

ლონდონი, 15 ოქტომბერი. (საკუთარი). დღეს ლონდონიდან პარიზს გაემგზავრა ინგლისში მყოფი საბჭოთა კავშირის მსუბუქი მრეწველობის სპეციალისტთა და მუშაკთა დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ა. ნ. კოსიგინის მეთაურობით. ლონდონის აეროპორტში ა. ნ. კოსიგინი და დელეგაციის წევრები გაეცალნენ სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებულმა ინგლისში ნ. დ. ბელოხვოსტიკოვმა, საბჭოთა საელჩოს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა, აგრეთვე ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენლებმა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის X სესია

უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების არჩევნები

ნიუ-იორკი, 15 ოქტომბერი. (საკუთრ.). 14 ოქტომბერს გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე მიმდინარეობდა უშიშროების საბჭოს სამი არამუდმივი წევრის არჩევნები ბრაზილიის, ახალი ზელანდიისა და თურქეთის ნაცვლად, რომელთა რწმუნების ვადა გადის ამა წლის 31 დეკემბერს.

პროცედურის წესების მიხედვით უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრებს ირჩევენ ფარული კენჭისყრით ყველა მიცემული ხმის ორი მესამედის უმრავლესობით თუმცა თვით ასამბლეის სხდომაზე კანდიდატურებს არ ასახელებენ და არ განიხილავენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კულუარებში ეს კანდიდატურები ცნობილი იყვნენ კენჭისყრამდე დიდი ხნით ადრე. ლათინური ამერიკის ქვეყნებმა ბრაზილიის ადგილზე დასასახელეს კუბის კანდიდატურა, ახალი ზელანდიის ადგილზე კენჭს უყრიდნენ ავსტრალიის კანდიდატურას. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან დასაჩენლებული იყო პოლონეთის კანდიდატურა. მაგრამ ამავე ადგილზე შეერთებული შტატების დელეგაციამ, უშიშროების საბჭოში ადგილების სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების პრინციპის წინააღმდეგ, რომელიც ჩაწერილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში, წამოაყენა ფილიპინების კანდიდატურა, რითაც დაარღვია ხსენებული პრინციპი.

ამით ირღვეოდა არა მარტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 23-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს „სამართლიან გეოგრაფიულ განაწილებას“, არამედ დაირღვა აგრეთვე 1946 წელს ლონდონში მიღწეული ჯენტლმენური შეთანხმება იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთ ევროპის, ისევე როგორც სხვა გეოგრაფიული რაიონების ქვეყნები, ურთიერთ შეთანხმებით თვითონ განსაზღვრავენ, ვინ უნდა იყოს მათი წარმომადგენელი უშიშროების საბჭოში.

ორი წლის წინათ საერთაშორისო თანამშრომლობის მოწინააღმდეგეებმა ამ ადგილზე, რომელიც სამართლიანად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს ეკუთვნით, გაიყვანეს თურქეთი. ახლა არის ცდა ამ ადგილზე გაიყვანონ ფილიპინები, თუმცა ამ ქვეყანას, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთ ევროპისაგან რამდენიმე ათასი კილომეტრის დაშორებით, არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ამ გეოგრაფიულ რაიონთან და მისი კანდიდატურა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს არ წამოუყენებიათ.

მაგრამ, მიუხედავად ორგანიზებული ზეგავლენისა მთელი რიგი ქვეყნების, უმთავრესად ლათინური ამერიკის ქვეყნების დელეგაციებზე, ამ მანევრს ჯერჯერობით წარმატება არა აქვს.

კენჭისყრის პირველი ტურის შედეგები ასეთია: კუბამ მიიღო 53 ხმა, ავსტრალიამ — 41, პოლონეთმა—34 და ფილიპინებმა—33 ხმა. ორ-ორი ხმა მიიღეს ინდოეთმა და ტაილანდმა და თითო ხმა იუგოსლავიამ და სამხრეთ აფრიკის კავშირმა. ამრიგად, ორი მესამედი ხმების საჭირო უმრავლესობა მიიღეს მხოლოდ კუბამ და ავსტრალიამ. პოლონეთს არჩევისათვის დააკლდა ხუთი ხმა.

შემდგომ სამ ტურში თვითეულ დელეგაციას შეეძლო ხმის მიცემა ორში მხოლოდ ერთი კანდიდატურისათვის—პოლონეთისთვის ან ფილიპინებისათვის, მაგრამ ამ ორი ქვეყნიდან ვერც ერთმა ვერ მიიღო საჭირო უმრავლესობა. ამასთან გამოირკვა, რომ დამატებითმა ზეგავლენამ, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ სხვა დელეგაციებზე მოახდინა უკვე კენჭისყრის დროს, საწრაალმდეგო შედეგი გამოიღო: მეოთხე ტურში ფილიპინებმა მიიღეს ორი ხმით ნაკლები, ვიდრე მესამეში.

ამის შემდეგ ოცი წუთის შესვენების დროს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დელეგაციებმა, რათა გაეადვილებინათ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლა, გადაწყვიტეს წამოეყენებინათ იუგოსლავიის კანდიდატურა. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგაციებმა გადაწყვიტეს კვლავ ეცადათ ფილიპინების არჩევა. კენჭისყრის მეხუთე ტურში, როცა პროცედურის წესების მიხედვით შეიძლებოდა ხმის მიცემა ყოველი ქვეყნისათვის, რომელიც წარმოდგენილი არ არის უშიშროების საბჭოში, ხმები შემდეგნაირად განაწილდა: ფილიპინები—30 და იუგოსლავია—25. თითო ხმა მიიღეს ინდოეთმა და პოლონეთმა, ხოლო ორმა დელეგაციამ თავი შეიკავა კენჭისყრაში. მეექვსე ტურში ფილიპინებმა მიიღეს 29 და იუგოსლავიამ 28 ხმა. ამრიგად, არც ერთი და არც მეორე ქვეყანა არ აღწევენ.

მეექვსე ტურის შემდეგ ინგლისის წარმომადგენელმა დიკსონმა წინადადება შეიტანა გადაიდოს შემდგომი კენჭისყრა 18 ოქტომბრამდე. მხარი დაუჭირა რა ამ წინადადებას, სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ვ. კუზნეცოვმა წინადადება შეიტანა 18 ოქტომბრამდე გადაიდოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოების არჩევნებიც. ორივე წინადადება მიიღეს.

უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრების არჩევნებმა გაიზოველებული კომენტარები გამოიწვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კულუარებში როგორც ჟურნალისტების შორის, ისე დელეგაციების წევრებს შორისაც. აქ აღნიშნავენ, რომ შეერთებული შტატების დელეგაციის მანევრი — ფილიპინების კანდიდატურის წამოყენება ეწინააღმდეგება ევროპის სულისკვეთებას და მიმართულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი იმ ქვეყნების თანამშრომლობის წინააღმდეგ, რომლებსაც სხვადასხვა სოციალიზმი აქვთ. რაც შეეხება საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, ისინი, ზუსტად იცავენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და ლონდონის შეთანხმებას, მუდამ უჭერენ მხარს კანდიდატურებს, რომლებსაც სხვა გეოგრაფიული რაიონებიდან წამოაყენებენ ამ რაიონების ქვეყნები.

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი. (საკუთრ.). პოლიტიკური კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების საკითხზე გამართულ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ჩეხოსლოვაკიის, სამხრეთ აფრიკის კავშირის, ნორვეგიის, ბელგიისა და თურქეთის წარმომადგენლებმა.

ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაურმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. დავიდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა უაღრესად დაინტერესებულია ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების და ამ დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებით. მან სხდომას გააცნო გამოკვლევები ატომგულის ფიზიკის დარგში და სხვა მუშაობა, რაც ჩეხოსლოვაკიაში ხორციელდება ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების გასაფართოებლად. ვ. დავიდმა ილაპარაკა აგრეთვე ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის მეცნიერთა თანამშრომლობაზე და იმაზე, თუ რა დახმარებას უწევს სსრ კავშირი ჩეხოსლოვაკიას. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის დახმარებით ჩეხოსლოვაკია უახლოეს ხუთ წელიწადში აამუშავებს ატომის ენერგიის მძლავრ ელექტროსადგურს და რომ 1970 წელს ატომის ენერგია მისცემს ჩეხოსლოვაკიას მთელი იმ ელექტროენერგიის დაახლოებით მესამედს, რომელიც ამ წლისათვის იქნება გამომუშავებული ჩეხოსლოვაკიაში.

ხაზგასმით აღნიშნა რა ევენევის საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციის უდიდესი მნიშვნელობა, ვ. დავიდმა განაცხადა:

„თუმცა ამ კონფერენციას მეცნიერულ-ტექნიკური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ თავისი მნიშვნელობით იგი შორს გასცდა წმინდა მეცნიერული მოვლენის ფარგლებს. ეს კონფერენცია გამოხატავს ყველა ხალხს მტკიცე მისწრაფებას იმისადმი, რომ ატომი ემსახურებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობისა და პროგრესის საქმეს, ხოლო არავითარ შემთხვევაში — მოსახლის საქმეს...

დამტკიცდა, რომ რაც უფრო ფართოა მრავალმხრივი კავშირურთიერთობა მეცნიერების მოღვაწეთა შორის, მით უფრო მეტ სამსახურს გაუწევს ეს საერთაშორისო დაახლოებას და ნდობის განმტკიცებას სახელმწიფოთა ურთიერთობაში. სწორედ ამიტომ ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობამ, მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის უდიდეს უმრავლესობასთან ერთად, ვერ ნახა დამაჯერებელი მოსაზრება იმ ფაქტის გასამართლებლად, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას მონაწილეობა მიეღოთ ამ კონფერენციის მუშაობაში, მაშინ როცა მათ, უეჭველია, შეეძლოთ ხელი შეეწყოთ კონფერენციის წარმატებისათვის“.

ვ. დავიდმა აღნიშნა, რომ იმ პრობლემების ნაწილი, რომელთა განხილვა ხელს შეუწყობდა უფრო სწრაფ პროგრესს ატომის ენერგიის მშვიდობიან გამოყენებაში, ვერ გახდა განხილვის საგანი კონფერენციაზე იმიტომ, რომ დღემდე არ არის დადებული საერთაშორისო შეთანხმება ატომგულის იარაღის უთუოდ აკრძალვის შესახებ.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საჭიროა მოეწყოს ასეთი კონფერენციები მომავალში, შენარჩუნებულ იქნას კომიტეტი, რომელიც გენერალური ასამბლეის IX სესიაზე შეიქმნა, რათა ხელი შეეწყო ევენევის მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციის მომზადებისათვის. მან მხარი დაუჭირა აგრეთვე საბჭოთა რეზოლუციის პროექტით გათვალისწინებულ წინადადებას, რომ შეიქმნას ატომის დარგის მეცნიერთა საერთაშორისო პერიოდული ბეჭდვითი ორგანო ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხთა გასაშუქებლად, და ინდოეთის დელეგაციის წინადადებას, რომ მოეწყოს საერთაშორისო სამეცნიერო სემინარები ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების სხვადასხვა დარგში. შეეხო რა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო საგენტოს შექმნის საკითხს, ვ. დავიდმა განაცხადა, რომ ატომის ენერგიის მშვიდობიანმა გამოყენებამ სარგებლობა უნდა მოუტანოს ყველა ხალხს და რომ ამიტომ არც ერთი ქვეყანა არ უნდა გამორიცხოს ამ დარგში საერთაშორისო თანამშრომლობიდან, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ქვეყანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან მის სპეციალიზებულ დაწესებულებათა წევრი.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ, რამდენადაც ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხი მჭიდროდ დაკავშირებულია ხალხთა უშიშროების საკითხთან, საერთაშორისო საგენტო უნდა დაარსდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში, რომლის ძირითადი მისია ის არის, რომ უზრუნველყოს და განამტკიცოს საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება.

ვ. დავიდმა უფლება დაიტოვა არსებითად უფრო გვიან გამოთქვას აზრი წარდგენილი რეზოლუციების პროექტების შესახებ და დასასრულ განაცხადა: „როცა ვლაპარაკობთ ატომის ენერგიის მშვიდობიან გამოყენებაზე, არ უნდა დავივიწყოთ მისი საშიში დამანგრეველი ძალა. არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ეს საფრთხე დღემდე არ არის აღკვეთილი. იმისათვის, რომ ატომის ენერგია სავსებით ემსახურებოდეს კაცობრიობის კეთილდღეობას, საჭიროა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და ყველა სახელმწიფომ განაგრძონ ღონისძიებანი, რათა მიაღწიონ შეთანხმებას ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ“.

სამხრეთ აფრიკის კავშირის წარმომადგენელმა დიუ პლესიმ განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დიდი როლი უნდა შეასრულოს იმ იდეის პროპაგანდაში, რომ ატომის ენერგია უპირატესად გამოყენებულ იქნას მშვიდობიანი მიზნებით და არა ომის მიზნებით. მან აგრეთვე განაცხადა, რომ საჭიროა მუშაობა განაგრძოს საკონსულტაციო კომიტეტმა, რომელიც გენერალური ასამბლეის IX სესიაზე შეიქმნა, და ორი-სამი წლის შემდეგ მოეწყოს მეორე მეცნიერული კონფერენცია ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხებზე.

დიუ პლესიმ განაცხადა, რომ მისი მთავრობა მიემხრო საერთაშორისო საგენტოს წესდების პროექტს, და იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს მომავალში მიღწეულ იქნება საერთო შეთანხმება ასეთი საგენტოს შექმნის შესახებ.

დიუ პლესიმ კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მისი ქვეყანა თანამშრომლობს ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ინგლისთან სამხრეთ აფრიკის კავშირის ურანის საბადოთა დამუშავებაში.

ნორვეგიის წარმომადგენელმა ლუნდემ აღნიშნა, რომ ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების ევენევის საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკურ კონფერენციას წარმატება ჰქონდა, და თქვა, რომ საჭიროა ასეთი კონფერენციები მოეწყოს მომავალში. ლუნდემ განაცხადა, რომ ამ კონფერენციაზე მეცნიერებმა ერთმანეთს გაუზიარეს ატომის ენერგიის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უდიდესი გამოცდილება. ჩვენ, თქვა მან, უკან ვერ დაეხევთ საერთაშორისო თანამშრომლობის იმ დონიდან, რომელიც მიღწეულია ევენევის მეცნიერულ-ტექნიკურ კონფერენციაზე.

ნორვეგიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო საგენტო, რომლის შექმნაც დასახულია, „მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან“. ლუნდემ მხარი დაუჭირა აგრეთვე წინათ გამოთქმულ წინადადებას იმის შესახებ, რომ მუშაობა განაგრძოს საკონსულტაციო კომიტეტმა და გაფართოვდეს მისი ფუნქციები.

ბელგიის წარმომადგენელმა რიკმანსმა განაცხადა, რომ მომავალში უფრო სასარგებლო იქნება საერთაშორისო კონფერენციები მოეწყოს ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების უფრო ვიწრო პრობლემების შესახებ. რიკმანსმა თქვა, რომ ბელგიის დელეგაციამ მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის რეზოლუციის პროექტს საერთაშორისო საგენტოს წესდების შესახებ.

თურქეთის წარმომადგენელმა სარპერმა, რომელიც გამოხატავდა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ზოგიერთი ქვეყნის დელეგაციათა განწყობილებას, განაცხადა, რომ განიარღებასთან დაკავშირებული საკითხები არ უნდა აღიძრას ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების პრობლემის განხილვის დროს, რადგან ეს თითქოს დაარღვევს დისკუსიის მშვიდ ხასიათს. სარპერმა აგრეთვე განაცხადა, რომ ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო საგენტომ უნდა დაამყაროს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან გარკვეული ურთიერთობა“, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ურთიერთობა არ უნდა იყოს მჭიდრო, რადგან, როგორც ის ამტკიცებდა, ეს ხელს შეუშლის საგენტოს ეფექტიან მუშაობას.

თურქეთის წარმომადგენელმა აღნიშნა სხდომას, რომ მისი დელეგაცია ხმას მისცემს რეზოლუციის პროექტს, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, ავსტრალიისა და ბელგიის დელეგაციებმა შეიტანეს.

მოსკოვიდან გაემგზავრა ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს პარლამენტის დელეგაცია

15 ოქტომბერს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს პარლამენტის დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით. დელეგაციას მეთაურობდა დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე ემილ რეიტერი.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ლუქსემბურგისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, დელეგაცია გაიცილეს: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნული საბჭოს საპიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ა. მ. საფრონოვმა, სსრ კავშირის ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის მინისტრმა ს. ფ. ანტონოვმა, საავტომობილო მრეწველობის მინისტრმა ნ. ი. სტროკინმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ა. ფ. ბორისოვმა, ნ. მ. კლიუკინმა, ფ. დ. კულაკოვმა, ს. ა. სკაჩკოვმა, ი. პ. შირკოვმა, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ე. მ. ალექსანდროვამ, დ. ა. პოლიკარპოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

აეროდრომზე გამცილებელთა შორის იყო ავრეთვე ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში რენე ბლუმი.

მოსკოვიდან გამგზავრების წინ ლუქსემბურგის პარლამენტის დელეგაციის მეთაურმა ემილ რეიტერმა აეროდრომზე შემდეგი განცხადება გააკეთა:

— ლუქსემბურგის პარლამენტის დელეგაციამ თავისი მგზავრობა საბჭოთა კავშირში მეტისმეტად ხელსაყრელ პირობებში დაამთავრა. მან შეაგროვა მრავალი და მეტად საინტერესო ცნობები, რომლებიც დიდი წვლილი იქნება ჩვენი ქვეყნების მეგობრობის განვითარებაში. ეტოვებთ რა საბჭოთა კავშირს, დიდ მადლობას ვუძღვნით ამ ქვეყნის ხელისუფლებსა და მცხოვრებთ, რომლებთანაც კონტაქტი დავამყარეთ. მადლობას ვუძღვნით სტუმართმოყვარეობისა და არაჩვეულებრივი თავაზიანობისათვის, რომლებიც მათ გამოიჩინეს მთელი ჩვენი მგზავრობის დროს. ასეთივე მეგობრობა რომ საერთაშორისო ურთიერთობაში იყოს, მშვიდობა დამყარდებოდა და ყველა ქვეყანა თანხმობით იცხოვრებდა. ასეთია ჩვენი მგზნებარე სურვილი იმ მომენტში, როცა თქვენს ქვეყანას ვტოვებთ. ვუსურვებთ თქვენს ქვეყანას მშვიდობასა და აყვავებას.

ნახვამდე, ძვირფასო მეგობრებო! დიდი მადლობა! (საკუთრ.).

ფინალური შეხვედრა „სსრ კავშირის თასზე“ ფეხბურთში

16 ოქტომბერს მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ფინალური შეხვედრა „სსრ კავშირის თასზე“ ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის უძლიერეს გუნდებს შორის — „დინამოს“ (მოსკოვი) და საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდებს შორის.

შეჯიბრების პირველ ნახევარში ბრძოლა ურთიერთ მწვავე იერიშებით მიმდინარეობდა. არმიელებმა მოწინააღმდეგეთა კარში გაიტანეს ორი ბურთი და თავისაში გაუშვეს ერთი ბურთი. შესვენების შემდეგ დინამოელთაგან ათი თამაშობდა. უხეშობისათვის თამაშიდან გაყვანილ იქნა „დინამოს“ გუნდის მეკარე ლ. იაშინი. მისი ადგილი კარში დაიკავა ნახევარმცველმა ე. ბაიკოვმა.

შეჯიბრება დამთავრდა ანგარიშით 2:1 არმიელ ფეხბურთელთა სასარგებლოდ. (საკუთრ.).

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ვლადიმერ ვლადიმერის-ძე **მაცკევიჩი** დანიშნა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრად.

თბილისი

ქალაქის ქრონიკა

გ. მ. მუხაძის ძეგლის გახსნა

14 ოქტომბერს თბილისში, რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს სკვერში ზეიმით გახსნეს გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის, საქართველოში მეცნიერული ქირურგიის ფუძემდებლის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის გ. მ. მუხაძის ძეგლი.

ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე შეიკრიბნენ მედიცინის მუშაკები, მეცნიერები, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. (საკუთრ.).

• • •

სურათზე: **გ. მ. მუხაძის ძეგლი რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს სკვერში.**

სასკოლო კინოსურათები

ყოველწლიურად ფართოდდება კინოდანადგარების ქსელი თბილისის სკოლებში. მიმდინარე წელს ახალი კინოდანადგარი დაიდგა 101-ე, 56-ე, 1-ლ, 88-ე და სხვა სკოლებში. ამჟამად ქალაქის 50-მდე სკოლას აქვს საკუთარი კინოდანადგარი. მოსწავლეებს რეგულარულად უჩვენებენ კინოსურათებს გეოგრაფიაში, ანატომიაში, ისტორიაში, ლიტერატურაში, ფიზიკაში, ფიზიკულტურაში და სხვა დისციპლინებში.

სასკოლო კინოსურათები დიდ დახმარებას უწევენ მოსწავლეებს სხვადასხვა დისციპლინის შესწავლაში. მიმდინარე სასწავლო წელს თბილისის სკოლებს მიღებული აქვთ 17 სახელმოძღვნების ახალი სასწავლო ფილმი როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე. მათ შორის აღსანიშნავია „ელექტროენერგია სოფლის მეურნეობაში“, „აფრის ქარხანაში“, „მიწის სათხრელი მანქანები“, „ატომის აგებულება“, „კარტოფილის დამუშავების მექანიზაცია“ და სხვ. სულ თბილისის სარაიონთაშორისო კინობაზებში არის 186 სახელმოძღვნების სასწავლო ფილმი.

მხატვრის ნამუშევართა განხილვა

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა თეატრალური მხატვრის მ. ჩიქოვანის ნაწარმოებთა გამოფენის განხილვა.

გამოფენაზე წარმოდგენილია ამ დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზები, რომლებიც მხატვარმა განახორციელა მოსკოვის კ. ს. სტანისლავსკისა და ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის და მოსკოვის ოპერეტის თეატრების დადგმებში.

განხილვაზე შესავალი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სახალხო მხატვარი პროფესორი უ. ჯაფარიძე. მ. ჩიქოვანის შემოქმედების შესახებ ვრცელი მოხსენება წაიკითხა მხატვარმა თ. თავაძემ.

გავშვთა მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლში

ამიერკავკასიის რკინიგზის ბავშვთა მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლში ახალი სასწავლო წლიდან განახლდა წრეების მეცადინეობა. ნათელ დარბაზებში გაისმის ბავშვების ჟრიამული. სახლში ჩამოყალიბებულია 35 სხვადასხვა წრე: საგუნდო, ხალხური ცეკვის, ქანდაკების, მხატვრული კითხვის, დრამატული — ქართული და რუსული, თოჯინების, რადიოს, ავტომშმსწავლელი, ელექტროტექნიკის, ხელმარჯვეთა, ნორჩ ნატურალისტთა, ფოტომოყვარულთა და სხვ. აქ მოსწავლეებს შეუძლიათ თავიანთი უნარისა და ნიჭის მიხედვით სკოლაში მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკულად განმტკიცონ.

გასული სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ სახლი ბავშვებს მზრუნველობას არც ზაფხულში აკლებდა: დახმარებას უწევდა ბანაკების ბიბლიოთეკებს მხატვრული და ტექნიკური წიგნებით. სახლის ტექნიკური განყოფილების ინიციატივით პიონერიგის, წყლვერის, კიროვაკანის პიონერთა ბანაკებში ჩამოყალიბდა ხელმარჯვეთა წრეები. სახლს აქვს ვაგონგამოფენა, რომელმაც მოაწყო საუბრები პიონერთა ბანაკებში: სურამში, ახალ ათონში და სხვ.

წელს სახლში ჩამოყალიბდება ნორჩ ნატურალისტთა, ტექნიკოსთა და მოჭადრაკეთა კლუბები, გაიზრდება მოსწავლეთა გუნდი. მუშაობას შეუდგნენ ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრი და აკორბატთა ჯგუფი. ნორჩი ნატურალისტები დიდი მონდომებით ემზადებიან ბუნების დიდი გარდამქმნელის ი. ვ. მიჩურინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად. ჭადრაკის წრე მოაწყობს პიონერთა ასაკის შეჯიბრებას — შიდასასკოლოს და სკოლებს შორის. შემდეგ კი მოეწყობა რკინიგზის სკოლების პირველობა ჭადრაკში გარდამავალ თასზე.

ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლთან არსებობს ნორჩ მიჩურინელთა სადგური, რომელსაც ნახევარი ჰექტარი ფართობი უკავია. ამ მუშაობენ ნორჩი მებოსტნეები, მეხილეები, მევენახეები, მეყვავილეები, ტექნიკურ კულტურათა შემსწავლელები, მემინდვრეები. წრეების ხელმძღვანელი მასწავლებლები უნერგავენ მოსწავლეებს პრაქტიკულ ჩვევებს სოფლის მეურნეობის დარგში, აცნობენ მოწინავე ადამიანთა მიღწევებს. სადგურს მოწყობილი აქვს სანერგე, სათბური, სარწყავი სისტემა.

სადგურს უშუალო კავშირი აქვს სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებთან, დ ი ო მ ი ს მტს-თან, მახარაძის სახელობის კოლმეურნეობასთან.

ნორჩ მიჩურინელთა ნაყოფიერ მუშაობას მოწმობს ის, რომ იგი სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე იყო.

ნ. ათანელიშვილი.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

დისერტაციის დაცვა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(უნივერსიტეტის ქ. № 3)

1955 წ. 29 ოქტომბერს დღის 3 საათზე ფიზიკის აუდიტორიაში ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

ბივი რაჟდენის-ძე ხუციშვილი

დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„Релаксация и ориентация ядер“.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის „დინამოს“ სტადიონი

18 ოქტომბერს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობაზე „ბ“ კლასი

ქ. მოლოტოვი — თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლი

დასაწყისი 4 საათზე.

ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

18 და 19 ოქტომბერს

პრემიერა

ალექსანდრე შტეინი

პერსონალური საქმე

დრამა 4 მოქმედებად

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მოქალაქე **იაკობ მორდეხის-ძე კაკიტელაშვილმა**, მცხოვრებმა ი. ჭავჭავაძის ქ. № 22, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **თამარ ეხისკელის ასულ ჩიჩინაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ნაზარ აკოფის-ძე ბოტოიანმა**, მცხოვრებმა ენგელსის ქ. № 40, აღძრა საქმე კიროვის ქ. № 8 მცხოვრებ მოქალაქე **ოფელია ისაკის ასულ ბოტოიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

და თამარ, ძმები შალვა, სიმონ ოჯახებით იუწყებიან

გრიგოლ სიმონის-ძე იაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 19-X, 8 ს. გამოსვენება 20-X, 5 ს. ბინიდან, ლენინის მეორე შესახვევი № 5.

მეუღლე ლუბა, შვილები შოთა, ჯულიეტა, უშანგი, დები სონია, პაშა, ძმები იაკობ, ვასო ოჯახებით იუწყებიან

სერგო ვასილის-ძე ბახტაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19-X, 7 ს. გამოსვენება 20-X, 4½ ს. ლოტკინის ქ. № 20.

და ოლღა წივწივაძე-ჭავჭანიძე ოჯახით იუწყება

კონსტანტინე სიმონის-ძე წივწივაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 18-X, 5 ს. ათაბეგოვის ქ. № 35.

მეუღლე ნადია, შვილი ვაჟა, ძმები კონდრატი, ნიკოლოზ, ალექსანდრე, მიხეილ, და მართა ოჯახებით იუწყებიან

შალვა ელისეს-ძე გოგუას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19-X, 8 ს. გამოსვენება 20-X, 4 ს. დავითაშვილის ქ. № 8.

შვილი ირინე დონაური-ჭელიძე ოჯახით, დები ელენე, ნინო იუწყებიან რესპუბლიკის სახალხო არტისტის

ელენე დონაური-მარჯანიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19-X, 8 ს. ძერჟინსკის ქ. № 10.

მეუღლე კატო ნათესავებით იუწყება

ილია ივანეს-ძე დემეტრაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19-X, 8 ს. გამოსვენება 20-X, 4 ს. ხუდადოვის ქ. № 37.

მეუღლე ნარო, შვილები მადონა, მერი, დები მარო, თამარ, ანეტა, ქეთო, ძმები დარისპან, დიმიტრი ოჯახებით იუწყებიან

ავთანდილ იაგორის-ძე ჭყონიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-X, 6 ს. ქ. ბათუმში, გამოსვენება ჭავჭავაძის ქ. № 14.

მეუღლე მარგო, შვილი მიხეილ ოჯახით იუწყებიან

პავლე ალექსის-ძე თვაურის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-X, 4 ს. სოფ. კარდანახში.

მეუღლე სანდრო, შვილები სონია, ნიკოლოზ, ია, მიხეილ, ვანო ოჯახებით იუწყებიან

ევა დიმიტრის ასულ ღვინაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-X, 3 ს. სოფელ კოდისწყაროში (ყასპის რაიონი).

შვილი ბრილიანტა, ძმები ვასო, გიორგი, დები ლიუდი, ანეტა ოჯახებით იუწყებიან

მარიამ ჭანიშვილი-კვერლელიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19-X, 8 ს. გამოსვენება 20-X, 4 ს. ჩელიუსკინელების ქ. № 17.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს დეკლარაცია

ბუდაპეშტი, 15 ოქტომბერი. (საკუთრ.). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელმა ბიურომ თავის 28-ე სესიაზე მიიღო დეკლარაცია საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის განვითარების შესახებ.

აღმასრულებელი ბიურო დეკლარაციაში გამოყოფილებით აღნიშნავს, რომ „ევენევაში გამართულმა ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და